ნუგზარი კირთაძე

ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 ნუგზარ კირთაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნუგზარი კირთაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: ნუგზარ კირთაძე

დასახელება: „ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები“

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ორგანიზებული დანაშაულობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაული დანაშაულებრივ სამყაროში. ბევრი მექანიზმის გამოყენების მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის მიღწევა ამ დანაშაულის მიმართ მაინც სუსტად გამოიყურება. მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია ის გზები, თუ რითი უნდა ებრძოლოს ჩვენი სახელმწიფო აღნიშნულ დანაშაულს.

ორგანიზებული დანაშაულობის საქართველოში მატება ნიშნავს ჩვენი ქვეყნის, რამდენიმე წლით უკან წარსულში დაბრუნებას. იმ წარსულში, რომლის გახსენებაც არავის სურს. როდესაც კორუფცია გაბატონებული იყო ასევე სამართალდამცავი ორგანოები ღირსეულად ვერ იცავდნენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას,მეტიც დანაშულს თავადვე ჩადიოდნენ.

ორგანიზებული დანაშაულობის ჩადენის რიცხვები მართლაც საგანგაშო ნიშნულს მიაღწია. დამნაშავეთა არარეგულირებადი შემოსავლების რიცხვი კი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე მილიონობით დოლარზე ადის. ყველაზე მეტად საშიში ის არის კონკრეტული დანაშაულთა ჯგუფები ჩადიან სახელმწიფოებში, თავდაპირველად ისინი თვალში არ ეჩხირებიან სამართალდამცავებს, ამ დროს შეისწავლიან სახელმწიფოს და ამის შემდგომ გადიან შემდეგ ნაბიჯებს. ამიტომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მსგავსი დანაშაულები.დანაშული მყისიერად უნდა იყვეს აღკვეთილი, რათა დამნაშვეებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, რომ შემდეგ მსხვერპლად ჩვენი ქვეყანა აირჩიონ.

მოცემულ ნაშრომში მკაფიოდ ჩანს ის მიღწევები რაც საქართველომ გაატარა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა სწორედ ამის მინიშნება სურს ავტორს ამ ნაშრომით.

ნაშრომში მოცემულია ორგანიზებული დანაშაულობის ის ასპექტები, რასაც ეს დანაშაული იწვევს. ნარკოტიკებით ვაჭრობა, კორუფცია, იარაღის გაყიდვა, ადამიანის ორგანოების გაყიდვა, ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რომელსაც იწვევს ეს დანაშული. ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს ის მექანიზმები რომელიც ნაშრომშია მოცემული. ანუ ის სამართალდამცავი ორგანოების ხშირი გადამზადება, საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინება და პერსონალის მუდმივი ტრენინგი, სკოლის აღსაზრდელებთან ხშირი კომუნიკაცია, რომ ისინი დაცული იყვნენ დანაშულში გარევისგან. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი მუშაობით, საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითებების და რეკომენდაციების გათვალისწინება დაგვიცავს დანაშულებრივი სამყაროსგან. ძლიერი სამართალდამცავი ძლიერი ქვეყნის საწინდარია ამიტომ ყველაფერი უნდა გავიღოთ საზოგადოებამ და სახელმწიფომ. მხოლოდ სახელმწიფო საზოგადოების გარეშე ვერაფერ შექმნის. საზოგადოება უნდა დაეხმაროს მას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით თავიდან აცილებული იქნება ეს დანაშაული ჩვენს სახელმწიფოში.

Abstract

Organized crime is one of the most complicate offences in the world of crime.Despite using a lot of mechanizms the achievement of some countries about crime still looks weak.In the given piece of work there are many ways how our countries should fight with this offence.

The increased number of organized crime in Georgia means a step backward to the past,which is undesirable time to be even remembered,the time when corruption was predominary,also judicial agencies did not do their honestly.more over they did crime themselves.

The number of commiting crime has reached the highest point.The number of unregulated income of criminals is often several miliion dollars.the most terrifying fact is the one which certain gangs of criminals commit in the state.At first they try to stay unvisible for the constables.while studying the state and ofter that they step dorward.Thats why the state should not admit such offences.The crime should be cut out at once in order to avoid the possibility of being chosen as a victim.

In this piece of work it is easy to see clearly the achievements that Georgia has made in the fight again crime,but theres still much to be done.It is the main purpose the author of this wark is trying to say.

In this work there are aspects showing the cause of crime.Drug trading, corruption, weapon trading or selling body argans-it is a short list caused by this crime.That is wy this mechanism should be considered.It means the constables should be trained regularly,international achievements should be considered and staff regular training,constant connection with pupils in order to protect them from being involed in crime MInistery of Home Affairs and other legal structures should collaborate according international law-treaty and recommendations that can protect as from the world of crime.Astrong constable is the basement of a strong country.That is why the society should do their best within the state,because the government without it is society cannot do anything.The society should help them.

Considering all the aspects given above it will be possible to avoid this crime in our state.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. ორგანიზებული დანაშაულობა 6

1.1. ორგანიზებული დანაშაულობის არსი,დეფინიცია..... 6

1.2. ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორია..... 9

2.1. ნარკოტიკებით ვაჭრობა 15

2.2. ფულის დამზადება/კორუფცია..... 19

2.3. ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინკი..... 23

2.4. იარაღის უკანონო გაყიდვა 28

2.5. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა 30

თავი 3. ორგანიზებული დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები 34

3.1. ობიექტური ფაქტორები 34

3.2. დანაშულის მიზეზები 37

თავი 4. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა..... 42

4.1. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა..... 42

4.2. ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით 54

დასკვნა 63

გამოყენებული ლიტერატურა:..... 67

შესავალი

ორგანიზებული დანაშაულობა, თავისი მასშტაბებითა და გავლენით, რეალურ საფრთხედ იქცა კაცობრიობისთვის. თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგანაც იგი ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. აღიარებულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წამოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები.

სამყაროში ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებს. გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გლობალურმა ეკონომიკამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ორგანიზებული დანაშაულობის შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსირების, კომუნიკაციების და გადაადგილების უპრეცედენტო გამარტივებამ, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, კრიმინალებს უამრავი შესაძლებლობა მისცა უკანონო ბიზნესის საწარმოებლად.კრიმინოლოგები ისწრაფვიან ყოველმხრივ და ადექვატურად შეაფასონ იმ საფრთხის მასშტაბები და ხარისხი, რომელსაც სწრაფად მზარდი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა გვიქადის. ისინი აღნიშნულ მოვლენას განიხილავენ არა როგორც ორგანიზებული დანაშაულის „ტრადიციული“ ფორმების მოდიფიკაციას, არამედ, როგორც საქმიანობის პრინციპულად ახალ სახეობას, რომელიც ორგანიზებულ

დანაშაულებრივ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, სწრაფად გაზარდონ კრიმინალური შემოსავლები, რითაც ემუქრებიან სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას.ამასთანავე ტრანსნაციონალური დაჯგუფებები დემონსტრაციულად წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და შედარებით ხელშეუხებლობას სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან.

საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით 2009 წელს მსოფლიოში რეგისტრირებულ იქნა 700 მილიონზე მეტი დანაშაული. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დანაშაულობა მსოფლიოში 3- 4-ჯერ გაიზარდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მან 8-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 7-8-ჯერ, დიდ ბრიტანეთსა და შვედეთში 6-7-ჯერ, საფრანგეთში 5-6-ჯერ, გერმანიაში 3-4-ჯერ, იაპონიაში კი 1,5-2-ჯერ იმატა. ამგვარი ნეგატიური ტენდენცია დაფიქსირდა საქართველოშიც, სადაც რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა, თუმცა, 2007-2010 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 40%-ით შემცირდა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მიმზიდველი ფაქტორია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის. ამას ემატება ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და მძიმე სოციალური ფონი.ქვეყნის ფარგლებ გარეთ შეინიშნება „ქურდული სამყაროს“ გავლენის აღდგენის მცდელობაც.რუსეთის ფედერაციაში და სხვა სახელმწიფოებში „ქურდული სამყაროს“ მოქმედი ქართული დაჯგუფებები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კრიმინალურ სინდიკატად ითვლება, რამაც შეიძლება საქართველოში არსებულ კრიმინოგენულ და პოლიტიკურ ვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა იქონიოს.

ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ქურდული სამყარო საზოგადების ამა თუ იმ წრეში კვლავაც გარკვეული პოპულარობით სარგებლობს. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილი მოზარდები და

სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად ექცევიან კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და ცნობიერების ამაღლება არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ,,ქურდული სამყაროსი“ ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინების ფორმები, როგორიცაა: ადამიანის ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა.ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ჩართულია კორუფციასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში დღეს საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები.

სახელმწიფოს აღნიშნული მიმართულებით გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „კანონიერი ქურდის“ და რეკეტისთვის ისევე, „ქურდული სამყაროსა“ და რეკეტული დაჯგუფების წევრობისთვის. საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით,დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და მისი კანონიერი მფლობელისთვის გადაცემას.კანონიერი ქურდების უდიდესმა ნაწილმა დატოვა საქართველო. მაგრამ ამ ეტაპზე კვლავ შეინიშნება მათი კონცენტრაცია ჩვენი ქვეყნის მაშტაბით. მიუხედავად ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებებისა, კვლავ გამოწვევის წინაშე დგას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ორგანიზებული დანაშულის ცნების, მისი წარმოშობა-განვითარების, ხელშემწყობი ფაქტორების,მისი თავისებურებების დადგენა და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავება. უდავოა, ორგანიზებული დანაშულობა ისევე როგორც, დანაშაულობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ხასიათდება საქმიანობის საკუთარი სპეციფიკური მეთოდებით და

მონაწილეების ქცევის მოდულებით. ამიტომ ძირითადი ნიშნების აღწერისთვის აუცილებელია გავაანალიზოთ,როგორც საქმიანობის,ისე მისი სუბიექტების მახასიათებლები. იმისათვის რომ განვაცალკევოთ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულობისა და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტები, აუცილებელია, ყურადღებით შევისწავლოთ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად იქნება გამოყენებული სხვადასხვა სოციოლოგიური მეთოდიკა, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკა. კერძოდ: აუცილებელი იქნება ისეთი მეთოდენბის გამოყენება, როგორიცაა:

• სისტემური მიდგომის მეთოდი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის მრავალფეროვნებისა და იერარქიულობის გაანალიზების საშუალებას იძლევა;

• აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც მოიცავს კვლევისადმი ისეთ მიდგომებს, როგორიცაა: ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, ფორმალური ლოგიკა და სხვა;

• ემპირიული მეთოდი, რომელიც აისახება სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსა და საექსპერტო დასკვნებში ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ;

• სტატისტიკური მეთოდი, რის საფუძველზეც შესწავლილ იქნება ორგანიზებული დანაშაულის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და განხორციელდება შედარებითი ანალიზი ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ ჭრილში;

• მონოგრაფიული მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვრცლად და დეტალურად იქნება აღწერილი ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა და შემუშავდება სათანადო რეკომენდაციები.

ნაშრომის შედგება 4 თავისაგან და 12-ტი ქვეთავისგან. პირველ თავში განხილურლი იქნება ორგანიზებული დანაშულობის თავად არსი, ასევე ამ დანაშულის განვითარების ისტორია. როგორ იხვეწებოდა ეს დანაშაული დრო და დრო და რა სახე ქონდა წარსულში და რა სე აქვს ეხლა. პირველი თავის ბოლო ქვეთავში კი წარმოდგენილი არის ტრანსნაციონალური ორგანიზებული

დანაშულობის ცნება.ნაშრომიდან გავიგებთ,რომ ეს დანაშულობა შულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ სახეს იღებს. ნაშრომის მე-2თავში წარმოდგენილი იქნება ამ დანაშულობის გამოვლინების ფორმების 5 სახე რაც ასე თუ ისე ამომწურვადაა განხილული, ხოლო მე-3 თავი მიძღვნილი აქვს ორგანიზებულ დანაშულობის გამომწვევ მიზეზებს და ფაქტორებს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია თუ რა უწყობს ხელს და რა არის ამის მიზეზი. ხოლო უკანასკნელი მე 4_თავი მთლიანად მიძღვნილი აქვს ამ დანაშულობასთან ბრძოლას. თუ როგორია ამ დანაშაულს საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა. ასევე ამ თავში იქნება ის გატარებული პრევენციები, რომელიც გაატარა სახელმწიფომ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

თავი 1. ორგანიზებული დანაშაულობა

1.1. ორგანიზებული დანაშაულობის არსი,დეფინიცია

ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით ორზე მეტი პირის მიერ სისტემატიურად და ხანგრძლივი პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინებით გზით პოლიტიკაზე, მედიაზე, მართლმსაჯულებაზე და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით. ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში საქმიანობაა. ამ დანაშაულთან ბრძოლაში თითქმის მთელი მსოფლიოა გაერთიანებული. ორგანიზებულ დანაშაულში პოტენციური დამნაშვის მოზიდვა განსაკუთრებით იოლი ხდება დღვანდელ ცხოვრებაში. მსოფლიო დღითიდღე ვითარდება და ამას, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები აქვს.

დანაშულობის მასოვრივი გაზრდის უკან ცხადია იმალება ისეთი ძალა,რომელიც საკუთარ თავს სხვადასხვა მოვლენებში ამჟღავნებს. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს უამრავი განსაზღვრება დანაშულობის შესახებ. დანაშულობის პრობლემატიკას თითქმის ყველა სახელმწიფოში შეისწავლიან. „დანაშულობა ამ თეორიებში განიმარტება, როგორც ანომიის, სტიგმატიზაციის, კულტურათა კონფლიქტის, ინდუსტრიალიზაციის და ა.შ.“[1]. არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში მოარული და მეცნიერული ფორმები. „გენეზისის მსგავსების გამო, ერთი და იგივე ნიშანი აქვს რადგან ყველა მათგანს საერთო წინაპარო გააჩნია, ან უფრო ზუსტად წარმოადგენს იმ ერთი და იმავე სუბსტანციის მრავალფეროვან მოდიფიკაციათა სახეს რომელსაც სრულიად მატერიალური ხასიათი აქვს“[2]. რაც შეეხება დეფინიციას ამაზე კეტლეს კარგად აქვს გადმოცემული „დანაშული ესაა დანაშაულთა კანონზომიერი

[1] იხ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ.42

[2] იხ. Иленков диателктичельская логика 1984 იმავე. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გიორგი ღლონტი გვ.43

ცვლილება,რომელიც აუცილებლად არის ნავარაუდევი საზოგადოების ორგანიზაციით“ [3] . დანაშულთა ცვლილებების კანონზომიერების ასახვა სახელმწიფოს მთავარ ამოცანას უნდა მოიცავდეს.ხშირია შემთხვევები როცა დანაშულობის სიმრავლეზე მოხდეს გარკვეული პირთა მიერ აპელირება, მაგრამ ამავე დროს მათ ეპარებათ რომ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა ან თუნდა მათი შემცირებიც ნამდვილი სიდიდე არასაკმარისად ნათლად და სრულად იქნა ასახული დანაშულთა რიცხვულ გამოხატულებაში.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ დანაშაულთან ბრძოლა და იმ პირების დასჯა, რომლებიც იღბენ მონაწილეობას დანაშულში. ობიექტურები რომ ვიყოთ საქართველოს ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ამ დანაშაულთან ბრძოლას სჭირდება არა მარტო სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობა არამედ მრავალი სახელმწიფოს ურთიერთ კავშირი ერთმანეთან დანაშაულთან ბრძოლისას. „დანაშულობა ადამიანთა საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა,რომელსაც გააჩნია თავისი კანონზომიერებები საზოგადოებაში და მოსახლეობაში ნეგატიური შედეგების გამომჭვევი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიკური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მაკონტროლებელი ზომების გატარებას“[4]. რა თქმა უნდა ამას საფუძვლას ის უდევს რომ დანაშულობის მახასიათებელს წარმოადგენს სისხლისამართლებრივი ხასიათი.

ორგანიზებული დანაშაულს ცალსახად დიდი ზიანი მოაქვს სახელმწიფოებსა და საზოგადოებთათვის. სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდ საფრთხედ ის რჩება რომ ახალგაზრდები ებმევიან დანაშულებრივ საქმიანობაში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ზრდიან ძალადობისა და მნიშვნელოვნად აუარესებენ კრიმინოგენურ მდგომარეობას ჩვენ საზოგადოებაში.გარდა ამისა, შემაშფოთებელია მათი საქმიანობით გამოწვეული

[3] იხ. Э.ферри уголовнаи социология გვ.201

[4] იხ. Криминология кудрявцева 1997 იგივე. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ.46

ეკონომიკური გავლენაც: მსოფლიო მასშტაბით ისინი წლიურად დაახლოებით ერთი ტრილიონი დოლარის ოდენობის არალეგალურ შემოსავალს იღებენ.

ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაული არის „ანტისახელმწიფოებრივი მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისთვის, როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით“[5].

ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ხელშემწყობი პირობები არის მაშინ როდესაც ადამიანთა უმრავლესობა დიდი გაჭირვების წინაშე დგას, მათ სწორეთ ერთი რამ დარჩენიათ ჩაებნენ დანაშაულებრივ სამყაროში და ამით ისინი საბოლოოდ დიდი განსაცდელში ვარდებიან.სიღარიბე ბუნებრივად ქმნის დანაშაულისთვის მასაზრდოებელ ნიადაგს. ასევე, იმ პირებში, რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტირება ახალ ეკონომიკურ პირობებში, გამოიწვია არსებობის კრიმინალური ხერხებისადმი განწყობის გავრცელება. გარდა ამისა, ორგანიზებულ დანაშაულზე ძლიერ კრიმინოგენულ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება, მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა და განათლების დონე, ისტორიულად ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ტრადიციების არსებობა, მწვავე სოციალური, რელიგიური და ეთნიკური წინააღმდეგობები.

ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება, როგორიცაა ადამიანის ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ასევე ჩართულია კორუფციასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში.

[5] იხ. მთავარი პროკურატურის ანალიტიკური,სამართველო ორგანიზებული დანაშაული გვ.1

სხვადასხვა ავტორები გამოყოფენ ორგანიზებული დანაშულის ნიშნ თვისებებს ისეთს, როგორიც არისჯგუფის შეკოწინება დანაშაულებრივ საქმიანობაში. იტალიელი იურისტის რ. მინის აზრით ორგანიზაცია დანაშაულებრივი არ არის მხოლოდ და მხოლოდ რაიმე ბანდა ეს უნდა იყოს იმ პირების ჯგუფი, რომლებიც ერთად ჩაიდენენ რაიმე დანაშულს. ეს ჯგუფი რომ ჩავთვალოთ ორგანიზებულად მათ უნდა გააჩნდეს ის ნიშნები რომელიც კარგად განხილულია კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში [6] . ესენია: „ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა, სამართალ ინსტიტუტთა მოქმედების ნეიტრალიზაცია, ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ სამსახურთა გამოყენება, ჯგუფის შიდა სტრუქტურის არსებობა, მოქმედებათა ერთგვარი გარეგანიც კანონიერება“[7].

1.2. ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორია

ორგანიზებული დანაშაულობის ისტორიის წარმოშობაზე,ზუსტ დროზე მეცნიერები ვერ თანხმდებიან. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ორგანიზებული დანაშაულობას იმაზე დიდი ისტორია აქვს ვიდრე თავად ეს ტერმინი დამკვიდრდებოდა.

საბჭოთა პერიოდში მიჩნეული იყო, რომ თითქოს არც იყო იმ დროისათვის ეს დანაშული. ამის გამო ეს დანაშული არ გამხდარა შესწავლის საგანი. სახელმწიფოებრივ დონეზე მისი არსებობა ცნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-2 ყრილობამ თავის დადგენილებაში „ორგანიზებული დანაშულის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“[8]. ექსპერტები მიიჩნევენ რომ სწორედ ამის გამო ქვეყნის კანონმდებლობა დანაშულთან ბრძოლას 20-25 წლით ჩამორჩა. საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის 27-ე მუხლში მოცემულია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯგუფური დანაშულისთვის. ამ მუხლის გააზრებით კარგად ჩანს რომ ორგანიზებული დანაშაულობა ჯგუფური დანაშაულობის ერთ-ერთი სახეა.

---

[6] იხ. კრიმინოლოგია ირაკლი გოძიაშვილი გვ.176
[7] იხ. капиталистические страны италия м 1989 იგივე კრიმინოლოგია ირაკლი გოძიაშვილი გვ.176
[8] იხ. ზ.წულაია კრიმინოლოგია გვ 228

1991 წელს გაერთიანებული ერების კონფერენციაზე განიმარტა ორგანიზებული დანაშაულობა როგორც დამნაშვეთა მართვადი, მყარი გაერთიანების ფუნქციონირება, რომლებიც ჩადიან დანაშულს როგორც ბიზნეს და ქმიან სოციალური კონტროლისაგან დაცვის სისტემას კორუფციის მხრივ[9]. გაეროს განმარტებიდან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულის 3 ძირითადი ნიშანი: 1) გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატიური ჩადენისთვის. მათში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული იერარქია; 2) კანონის სისტემატიური დარღვევა მთავარ მიზნად ისახავს გამდიდრებასა და კაპიტალის დაგროვებას; 3) შემოსავლის მიღების წყაროა კორუფცია.

გერმანიის ბუნდესტრაგის მიერ 1992 წელს შემუშავებულ იქნა განმარტება,რომლის მიხედვითაც ორგანიზებული დანაშული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით, ორზე მეტი პირის მიერ სისტემატიურად და ხანგძლივი პერიოდით დანაშულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინების გზით პოლიტიკაზე, მედიაზე, მართლმსაჯულებაზე და ეკონომიკაზე.

ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით არის სუსტად ორგანიზებული, საშუალოდ ორგანიზებული და მაღალ დონეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები. ტერიტორიის მასშტაბების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებები შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო. მონაწილეთა რაოდენობის მხრივ ორგანიზებული ფორმირებები შეიძლება იყოს მცირერიცხოვანი (3-5 წევრი), საშუალო (6-10 წევრი) და მრავალრიცხოვანი (10-ზე მეტი წევრი). არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით დანაშაულებრივი ფორმირებები იქმნება შეზღუდული ან განუსაზღვრელი ვადით.

ორგანიზებული დანაშულობა უფრო და უფრო ვითარდება რასაც ხელს უწყობს დღვანდელი განვითარებები. ორგანიზებული დანაშაულის განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე დაუცვლი ნაწილი მოზარდები და სოციალურად

[9] იხ. გაერთიანებული ერების კონფერენცია 1991 წლის ქ.სუზდალში.

დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად შეიძლება მოექცნენ კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.

ადრეულ საუკუნეებში პრაქტიკულად არავინ უშლიდათ ეგრეწოდებულ ქურდული მენტალიტეტის მქონე ჯგუფებს ორგანიზებული დანაშულის ჩადენას, რადგანაც დანაშაული ჯერ კიდე არ იყო ბოლომდე შესწავლილი და მეტიც სამართალდამცავები ვერ აუდიოდნენ მათან ბრძოლას რადგან იმდროისათვის ქვეცნობიერად არ იყო გააზრებული ამდანაშულის მართლზომიერება.იყო დანაშული მაგრამ ესე როგორც უკვე დღეს არის ეს მთელი რიგი სახელმწიფოების პრობლემა იმდროისათვის მხოლოდ ცალკეული სახემწიფოებისათვის იყო.ძველად იყვნენ ქვეყნები, რომლებიც უუნაროდ ჩანდნენ ასეთი დანაშაულობების თავიდან აცილების გზებით. ყველაზ ემეტად გავრცელებულია ისეთი ორგანიზებული დანაშაულობები, როგორიცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გატანა, ყალბი ფულის დამზადება, პროსტიტუციაზე კონტროლი, თაღლითობა, ადამიანებიტ ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონი გაყიდვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და კიდევ ბევრი სხვა.

ორგანიზაციული დანაშულობის შესახებ გარკვეული ცნობების შეკრება დაიწყეს სამართალდამცავმა აპარატმა 1986 წლიდან. 1986-1988 წლებში გამოვლენილი იყო 2607 დანაშულებრივი ჯგუფი, მათ მიერ ჩადენილი იყო 20 ათასამდე დანაშული, მათ შორის 218 მკვლელობა და 285 ყაჩაღუტი თავდასხმა. გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები უწყობს ხელს. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით 2009 წელს მსოფლიოში რეგისტრირებულ იქნა 700 მილიონზე მეტი დანაშული. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დანაშულობა მსოფლიოში 3-4 ჯერ გაიზარდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 8-ჯერ, ამერიკის 8-ჯერ, დიდ ბრიტანეთსა და შვედეთში 7-ჯერ, საფრანგეთში 6-ჯერ, იაპონიაში 2-ჯერ მოიმატა. ამგვარი ნეგატიური

ტენდეცია დაფიქსირდა საქართველოშიც, სადაც რეგისტრირებული დანაშულის რაოდენობა დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა თუმცა 2007-2010 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 40 %-ით შემცირდა.

მართალია შეიძლება რიცხვები საგანგაშოა მაგრამ საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს დანაშულთან ბრძოლის კუთხით.ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2013 წლის 13 ივნისს, საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, 3 რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო[10]. 2015-2018 წლების სტრატეგიის საფუძველზე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიმუშავებს და დაამტკიცებს 2015-2016 და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმებს რომლებშიც ასახული იქნება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებები, მიზნები, ამოცანები, გასატარებელი ღონისძიებები, შეფასების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, საჭირო ფინანსური რესურსები.იმედი ვიქონიოთ ჩვენი ქვეყანა კიდევ დიდ ნაბიჯებს გადადგამს დანაშულთან ბრძოლის კუთხით.

ორგანიზებული დანაშულის საგანგაშო ციფრები საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მიწურულს გვევლინება. დაახლოებით 1988-1989 წლებში.იმდროისათვის ორგანიზებულმა დანაშულმა მთლიანად მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. ყველა საზოგადოების ფენა იმდროისათვის თითქმის დიდ კრიზისში იყო ჩაფლული და ამის გასანთავისუფლებად მხოლოდ ერთადერთი გზა საბჭოთა კავშირის დარღვევა იყო. თითქმის მთლიანი ეკონომიკა დამნაშვეთა ხელში იყო. ორგანიზებული დანაშულის პოლიტიკური შედეგი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს კონსტიტუციური ნორმების დამხობა.

[10] იხ. ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2018 წლების ეროვნული სტრატეგია გვ.3

ამ დანაშაულთან საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, რომლებიც ძალიან დიდი როლს თუ მთავარს არა ასრულებენ ამგვარ დანაშულებში. კანონიერი ქურდების პასუხისმგებლობის საკითხი, განსაკუთრებული სიმწვავით იდგა ყოველთვის. ყველაზე დიდი საშიშროებით ხასიათდებიან ორგანიზებული დანაშულობის უმაღლესი ეშელონები. იმდროისათვის თითქმის მათ ხელში იყო უამრავი ბერკეტი „დანაშულთა ჩადენის". მათი კოორდინებული მოქმედება განსაკუთრებით საშიშია, მაგრამ მათი ეს მოქმედება არცერთი მოქმედი ნორმით არ კვალიფიცირდება. ეს იმით აიხსენა, რომ ისინი ორგანიზებას უწევენ არა დანაშაულს, არამედ დამნაშავეობას [11] . დანაშაული პოლიტიკურ მიზნებს ისახავს და უკავშირდება ტერორიზმს, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი ხდება.კანონიერი ქურდების შესახებ სპეციალისტებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ, რაშიც მთავარი იყო და არის ამ ტიპის დანაშულობების ძლიან მაღალი კონსპირაცია,მკაცრი კრიმინალური ტრადიციები, მათი დაცვის განსაკუთრებული წესები, რაც დანაშაულებრივი გაერთიანების ფორმას ორგანიზებულობის ფორმას ანიჭებს.

2005 წლის 20 დეკემბრის კანონით შემოღებული იქნა ნორმა სისხლის სამართალში, „ქურდული სამყაროს წევრობა"[12]. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ ებრძოლოს ქვეყანაში ამგვარ დანაშაულობას. საზოგადოებაში გაზარდოს ცნობიერება, რადგან არ მოხდეს ახალგაზრდა პირთა ჩაბმულობა დანაშაულში. ახლა მტკიცდება კანონმდებლობაში ახალი მუხლი რაც ეგროწოდებულ ქურდულ გარჩევების წიინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას. მაგრამ რა თქმა უნდა უნდა მივიჩნიოთ რომ ეს ყველაფერი არ არის, გასაკეთებელი კიდევ უამრავია. ქურდული გარჩევა ნიშნავს ორი ან მეტი პირის რაიმე დავის გადაწყვეტას არაკანონიერი გზით. შეიძლება მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში რომ ის ასრულებს „სასამართლოს როლს". კერძოდ ეს იმაში ვლინდება, რომ ორ პირს შორის მომხდარ დავას წყვეტს უშუალოდ ქურდული სამყაროს წევრი. ორგანიზებულ დანაშულს კავშირი აქვს საზღვარგარეთის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან. კანონიერი

[11] იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემა ქართულს სისხლის სამართალში გვ.55
[12] იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 233'-ე მუხლი

ქურდები აქტიურად უწევენ პროპაგანდას ქურდულ კანონებს, ტრადიციებს, ხოლო ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როცა ახალმა კრიმინალებმა კანონიერ ქურდებთან დაახლოება და მათი ავტორიტეტით სარგებლობა დაიწყეს[13].

ორგანიზებული დანაშული იარსებებს, მანამ სანამ არ მოხდება მისი უშუალოდ გამომწვევი ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრა. უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა, საზოგადოების ინტერესების ამაღლება. საზოგადოების ინტერესებში უნდა შევიდეს და დამკვიდრეს ის ფაქტი, რომ დღეს-დღეობით პოლიციასთან თანამშრომლობა არ ნიშნავს მხოლოდ ადამიანის „ჩაშვებას“, არამედ ეს არის დანაშულზე და თავად დამნაშავეზე ხელის დაფარება.

[13] იხ. Организованная преступность, ნაშრომი, გვ 110. იგივე გამოყენებულია ორგანიზებული დანაშულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. გვ. 58

თავი 2. ორგანიზებულ დანაშაულობის გამოვლინების ფორმები

2.1. ნარკოტიკებით ვაჭრობა

ყველაზე მეტად გავრცელებულია ისეთი ორგანიზებული დანაშაულები, როგორიცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა, ყალბი ფულის დამზადება, პროსტიტუციაზე კონტროლი, თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონო გაყიდვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და სხვა[14].

გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით დანაშაულის გამოვინების 17 ფორმა არსებობს[15]. ესენია:

1.ფულის გათეთრება,

2. ტერორიზმი,

3. ხელოვნების ნაწარმოებისა და კულტურის საგნების ქურდობა,

4. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა,

5. იარაღით უკანონო ვაჭრობა,

6. თვითმფრინავის გატაცება,

7. საზღვაო მეკობრეობა,

8. მიწის ზედა ტრანსპორტის გატაცება,

9. დაზღვევასთან დაკავშირებული თაღლითობა,

10. კომპიუტერული დანაშაული,

11. ეკოლოგიური დანაშაული,

12. ადამიანებით ვაჭრობა,

13. ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა,

---

[14] იხ. მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამართველო,ორგანიზებული დანაშაული გვ.2

[15] იხ. დანაშაულის პრევენციის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმები და სახელმძღვანელოები კრიმინალური სამართალი: განხორციელება და პრიორიტეტები. 2001 წელი

14. ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა,

15. განზრახ გაკოტრება,

16. ლეგალურ ბიზნესში შეღწევა,

17. კორუფცია და საზოგადოებრივი და პარტიული მუშაკების არჩევითი პირების მოსყიდვა.

ორგანიზებული დანაშულის საქმიანობაში სპეციფიკური მხარეა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და ცხადია მასთან დიდი ბრძოლაა. გაეროს ცხადია ნარკოტიკების კონტროლის შესახებაც აქვს საერთაშორისო შეთანხმება. მას აქვს 3 კონვენცია ამის შესახებ. ეს არის 1961წლის[16], 1971წლის[17] და 1988წლის[18]. თითეული ეს კონვენცია რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება ნარკოთიკებით უკანონო ვაჭრობას. ამ შეთანხმების საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების ექსპორტი, წარმოება, კულტივაცია დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო მიზნით. 1961 წლის[19] კონვენცია განმარტავს, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და მისი ტრანსპორტირება გასაღების მიზნით ეს არის დანაშულებრივი ქმედება. არის ქვეყნები სადაც ამ დანაშულის სასჯელი განისაზღვრება ნარკოტიკული დანაშულის სახეზე. „ესპანეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში, ლუქსემბურგსა და დიდ ბრიტანეთში ნარკოტიკული დანაშაულისთვის სასჯელის განსაზღვრა დამოკიდებულია ნარკოტიკის სახეობაზე. მაგრამ, ამასთან, პორტუგალიაში ნარკოტიკის სახეობას მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სასჯელის განსაზღვრის დროს. ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასამართლო ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინონ სხვადასხვა ნარკოტიკის ტიპებს შორის არსებული სხვაობა“[20]. გაეროს კონვენცია ასევე გამოყოფს იმას,რომ სახელმწიფოებმა თავად უნდა მიიღონ კონსტიტუციით

[16] იხ. გაეროს ერთობლივი კონვენცია ნარკოტიკულ დანაშულთა შესახებ

[17] იხ. გაეროს კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ

[18] იხ. გაეროს კონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ

[19] იხ. გაეროს ერთობლივი კონვენცია ნარკოტიკულ დანაშულთა შესახებ 36მუხლის 1 ნაწილის ა პუნქტი

[20] იხ. А. Габиани, Наркотизм, Тб., 1977, с.13.

დებულებების გათვალისწინებით, რომ ქვეყნის კანონმდებლობამ აღიაროს ესა თუ ის ქმედება სამართალდამრღვევად. ,,საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციის დებულებებისა და სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ და საჭირო ზომებს, რათა ქვეყნის კანონმდებლობამ სამართალდარღვევად აღიაროს განზრახ ქმედება, რომელიც უკავშირდება ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების შენახვას, შეძენას ან კულტივირებას პირადი მოხმარების მიზნით, თუკი ამით ირღვევა 1961 და 1971 წლის კონვენციები”[21].

ავტორი გამოყოფს რამდენიმე მათგანს რაც ყველაზე დიდ პრობლემად რჩება XXI_ესაუკუნეში. პირველი ეს არის ნარკოტიკებით ვაჭრობა, რომლის წინააღმდეგაც მთელი მსოფლიო იბრძვის.ნარკოტიკები არის ისეთი ნივთიერებები, რომელთაც შეუძლიათ იმოქმედოს ადამიანის ორგანიზმზე. ადამიანი მას ოდითგანვე მოიხმარდა. დედამიწაზე არსებობს 3 დიდი რეგიონი სადაც იწარმოება ნარკოტიკი. ავღანეთი, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები.

ავღანეთი მსოფლიოში განთქმულია, როგორც უდიდესი ნარკოტიკული საშუალების „ოპიუმის“ [22] წარმოებით. ავღანური ნაწარმი ძირითადად უმსხვილესათ ირანში საღდება ამის შემდგომ ის ამერიკის შეერთებულ შტატებამდეც კი აღწევს.მისი ტრაფიკის გზა მოიცავს თურქეთს აზერბაიჯანს, საქართველოს და ჩრდილო კავკასიასაც. ავღანურ ნარკოწარმოებას საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში დიდად დაეხმარა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომმა, როდესაც ამერიკელები გასაღებული ნარკოტიკების ფულით ისევ ავღანელებს აიარაღებდენ, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ მათ ვეღარ შეძლეს ამ საქმიანობის აკრძალვა, ახლა როდესაც ავღანეთში ამერიკული არმია დგას, ამერიკის მთავრობამ განახორციელა პროგრამა ავღანელი გლეხების საქმიანობის შესაცვლელად, მათ დაურიგეს ხორბლის თესლი, მაგრამ ნარკოტიკებისგან იმდენად დიდია

[21] იხ. გაეროს 1961 წლის 1971 და 1988 წლის კონვენციები

[22] ოპიუმი არის ნარკოტიკული საშუალება რომელიც მიიღება ყაყაჩოს წვენი ხაშხაშის მოუმწიფებელი ნაყოფის რძიანი წვნისაგან

შემოსავალი რომ შედეგი 0-ის ტოლი აღმოჩნდა[23]. მცხოვრებლები ამით ძალიან დიდ სარგებელს ნახულობენ ამიტომ არ სურთ მათ ხორბალზე გადასვლა.

რაც შეეხება ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის მეორე რეგიონს ეს არის ცენტრალური აზიის სახელმწიფოები. აქ წარმოებული ნარკოტიკების დიდი ოდენობა ცხადია საღდება რუსეთში. რუსეთში ნარკოტიკებზე დიდი მოთხოვნაა ამიტომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოები ამით ძალიან დიდ სარგებლობას ნახულობს.

ნარკოტიკებით ვაჭრობა, რომ დიდ შემოსავლის მქონეა ეს ყველა სახელმწიფობ კარგად იცის და კიდევ ერთი დიდ პრობლემად რჩება მესამე რეგიონი სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ესენია კოლუმბია, პერუ,ეკვადორის და ბოლივიის მოსახლეობა. ყველაზე გამოცდილები და საქმის კარგად შემსრულებლები სწორედ ამ ქვეყნის მოსახლეობაა. სახელმწიფო ვერაფერს აკეთებს მათთან. უფრო მეტიც სახელმწიფოები დიდ შემოსავალს ღებულობს ამით და არც კი თაკილობენ მფარველობა გაუწიონ ზოგიერთ დიდ ბანდას ნარკოტიკული ვაჭრობის.

მთელი მსოფლიო ებრძვის ნარკოტიკებით ვაჭრობის საკითხს. დღეს ძალიან მარტივად შეგიძლია მოიპოვო რომელიმე სახის ნარკოტიკი რომელიც ცხადია ლეგალური არ არის. ამის გაკეთება კი ძალიან მარტივად არის შესაძლებელია. საქართველოისევე როგორც ბევრი განვითარებულ ქვეყანა სარგებლობს სოციალური ქსელით. რთულია მოიძებნოს დღეს ისეთი ახალგაზრდა ვინც მისი მოხმარება არ იცის. სოციალური ქსელი ერთ-ერთი ძლიერი მხარე ნარკოტიკებით ვაჭრობის. საქართველოში მომრავლდა ასეთი ფაქტებიც, როდესაც გამყიდველები რაიმე ნარკოტიკულ საშუალებას ყიდიან ქსელურად. ავტორს შეუძლია ეს დაადასტუროს იმ ფაქტებითაც რაც მოხდა საქართველოში. მიშა მეფარიშვილის სტაატიაში მოთხრობილია, რომ 2 პირი სწორედაც ქსელით ასაღებდა ნარკოტიკულ საშუალებებს და აის გაოვლენის შედეგად მათზე განხორციელებულ იქნა პატიმრობა. ცხადია გამსაღებლები არ იყენებდნენ სიტყვა ნარკოტიკს ან თავად ნარკოტიკის სახეობების სახელებს, ისინი ამისათვის გამოიყენებდნენ

[23] იხ. სტატია გეო პოლიტიკა,ნარკოტიკებით ვაჭრობა/Drogen handeln

მინიშნებებს. გამსაღებლები მეტად გამორჩეულად მოქმედებდნენ ისინი თანხას არა ხელზე და არც საკუთარ ანგარიშის ნომერზე არ იღებდნენ ისინი ამისათვის იყენებდნენ ტოტალიზატორებს და ამის შემდგომ მყიდველს აძლევდნენ სურათს თუ სად იყო ეს საშუალება დადებული. ცხადია არც ხელიდან ხელში გადაცემდნენ, რადგან ამით ისინი თავს არიდებდენ ზედმეტ პრობლემებს. საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულები საკომუნიკაციო პროგრამა „Telegram"-ის მეშვეობით უკავშირდებოდნენ სხვა პირებს და თანხის სანაცვლოდ, ნარკოტიკული საშუალების შეძენას სთავაზობდნენ. პოტენციური შემძენი მინიშნების სახით წერდა გამსაღებლებს „კონიაკის თემა არის?", რის შემდეგაც ბრალდებულებისგან იღებდნენ ინტერნეტ ტოტალიზატორის ანგარიშის ნომერს. ანგარიშსწორების შემდეგ, მყიდველს მისდიოდა ფოტო მისამართისა და კონკრეტულიადგილის მითითებით, სადაც იდო ნარკოტიკული საშუალება[24].

2.2. ფულის დამზადება/კორუფცია

„უფრო ჭკვიანები არ კლავენ. მკვლელობა შესაძლოა დაბრკოლებას ხსნის, მაგრამ ამავდროულად ხმაურსაც იწვევს. კორუფცია უხმაუროდ ანადგურებს"[25]. ბოლო პერიოდმა ცხადყო რომ საერთაშორისო თანამშრომლობა რეგიონალური ან ორმხრივი ხელშეკრულების რეჯიმში სულაც არ არის საკმარისი. გაერომ მიიღო კონვენცია კორუფციის შესახებ[26]. ეს გახდა საჭირო მას შემდეგ,რაც ბევრ ქვეყანაში აღმოჩნდა ყალბი ფული ყალბი კუპიურები. ეს ისევე, როგორც ქვეყნისთვის ასევე მთლიანად მთელი მსოფლიოსთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. რადგან დანაშულებრივმა მოქმედება აყოლიება იცი და ეს ვერ დარჩებოდა მხოლოდ იმ კონკრეტული სახელმწიფოს პრობლემად სადაც ამ დანაშაულის პირველი ნიშნები აღმოჩნდა. უნდა გამოძებნილიყო ისეთი გზა, რომლითაც დაიწყებოდა ამ დანაშაულთნ ბრძოლა. გაეროს კონვენციას ცხადი იყო რაც სურდა, მაგრამ მეორე საკითხია მოხდებოდა თუ არა ისე როგორც მათ შემქმნელებს სურდათ. კონვენციის

[24] იხ. მიშა ნეფარიშვილის სტატია ნარკოტიკებთან ბრძოლა
[25] იხ. ლორდ რასელ ჯესტონის გამოსვლა გაეროს კონვენციის ხელმოწერისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.2003 წლის დეკემბერი
[26] იხ. GA/RES/58/4, 31 ოქტომბერი 2003

პლიუსად ის სახელდებოდა, რომის მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირთა დასჯადობას არამედ იურიდიულ პირთა დასჯასაც. სახელმწიფოებს შორის ურთიერთ დახმარების გაწევას და მასშტაბების გაზრდას.ჩვენ ვიცით,რომ არ არსებობს ისეთი კანონი რომელსაც ყავდეს მომხრე და არა მოწინააღმდეგე მხარე.არარსებობს ისეთი კანონი რომელსაც მხოლოდ ძლიერი მხარეები ექნება და სუსტი არა. „საერთაშორისო ექსპერტები კონვენციის სუსტ მხარეებზეც მიუთითებენ, რაც ძირითადად გამოიხატება იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმების განმსაზღვრელი კონკრეტული დებულებების არარსებობაში, სავალდებულო ძალის მქონე დებულებების ნაკლებობაში (მაგ. პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების, კერძო სექტორში კორუფციის კრიმინალიზაციის, ინფორმატორთა დაცვის ნაწილში) და შესაბამისად ეროვნული იურისდიქციებისათვის ამ კუთხით მეტი მანევრირების უფლების მინიჭებაში“[27].

ერთ-ერთ პრობლემად საქართველოში და არამარტო საქართველოში არის ყალბი ფულის დამზადება. რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიური მიღწევები მით უფრო ხშირია ამ დანაშაულის ჩადენის ფაქტები. უფრო მეტიც ტექნოლოგიურმა განვითარებამ გაუადვილათ პირებს დანაშაულის ჩადენა. საქართვე ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1929 წლის 20 აპრილის ოქმს შეუერთდა 2000წლის 28 ივნის[28]. გამკაცრდა საჯელიც. საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ის მოაწესრიგებდა სახელმწიფოში ამ დანაშულთან ბრძოლას. ამისთვის შეიქმნა ანტიკორუფციული სამართველო, ისტორიდაან ცნობილია,რომ პირველად ანტიკორუფციული სააგენტო ჰონკოკში შეიქმნა 1974 წელს. რომლის მიზანი იყო დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა. „სახელმწიფო საქმიანობის მრავალი სფერო მოიცვა კორუფციულმა პრაქტიკამ. სახელმწიფოს კორუფციასთან ბრძოლის საკითხში დასჭირდა საზოგადოებრივი ნდობა და შესაბამისად მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი კომისია, რომლის ფუნქციებია: კორუფციის თავიდან აცილება, გამოვლენა,

[27] იხ. ამერიკის იურისტთა ასოციაცია ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა გვ.6

[28] იხ. „ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ოქმთან შეერთების თაობაზე

გამოძიება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“[29]. შეიძლება ვთქვათ რომ ამ მოქმედებამ მდგომარეობა გამოასწორა და წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

საქართველოში მანამდე მოქმედი ანტიკორუფციული სააგენტოს გაერომ ხარვეზები დაუდგინა იმ კონტექსტში, რომ ის უნდა ყოფილიყო უფრო მეტად დამოუკიდებელი და ამის შემდგომ შეიქმნა და გათვალისწინებულ იქმნა გაეროს ეს რეკომენდაცია. ანტიკორუფციული სამსახურები საქართველოში. სუსის ანტიკორუფციული სააგენტო, სასჯელ აღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელსაც დიდი ფუნქცია აკისრია. „2015 წლამდე, ანტიკორუფციული სააგენტო, რომლის ფუნქცია სხვადასხვა კორუფციული დანაშაულების გამოძიება იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი იყო. 2015 წლის აგვისტოში სააგენტო გამოეყო შსს-ს და გადაინაცვლა ახლად შექმნილ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. 5 მაშინ ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ შსს-ს უნდა ჩამოცილებოდა ფართო ძალაუფლება და მომხდარიყო მისი დეპოლიტიზება. უსაფრთხოების სამსახურში ანტიკორუფციული სააგენტოს ყოფნა კი ისე განიმარტა, რომ კორუფცია მიჩნეული იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხად“ [30].

ცხადია ფული ადრე გამოიგონეს სანამ მის გაყალბებას დაიწყებდნენ. წარსულში პირებს ვინც ამ დანაშაულს ჩაიდენდა მას ძლიერ ტანჯავდნენ.ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ამ დანაშაულის ჩამდენ პირებს სიკვდილითაც სჯიდნენ. ოპერაცია ბერჰარდი [31] ეწოდება გერმანელების მიერ გამიზნულად ჩატარებულ ფულის გაყალბების ოპერაციას. იმდროისათვის ყალბდებოდა ინგლისური გირვანქა სტერლინგი, რომელიც დღესდღეობითაც ძალიან მყარი ვალუტაა. გერმანელებს სურდათ ყალბი ვალუტით მოეხდინათ ზეგავლენა

[29] იხ. Hong Kong Special Administrative Region: Independent Commission against Corruption, გვ. 43 იქვე დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური ავტორი მარიამ თუთბერიძე

[30] იხ. OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის მონიტორინგის ანგარიში - საქართველო, 2016, 3.4. კორუფციის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების ორგანოები, კორუფციული დანაშაულების საგამოძიებო ორგანოები, პარა. 2, გვ. 128 იმავე. დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური ავტ. მარიამ თუთბერიძე გვერდი 7

[31] იხ. სტატია ფულის გაყალბების დიდოსტატი

ინგლისზე და სურდათ მათი ეკონომიკის დამხობა. იმ დროისათვის დაახლოებით ძალიან დიდი ყალბი ფული დამზადა, რომლის ოდენობამაც მილიარდს გადააჭარბა. ეს ხდებოდა 1942-1945 წლებში ყველას მოგვეხსენა იმ დროისათვის რა ვითარებაც იყო მთელ მსოფლიოში.ეს ყველაზე დიდი ყალბი ფულის დამზადებად მოინათლა მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება საქართველოს ეს დანაშულობაც დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს. ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ერთ კვარტალში 57000 ლარის ყალბი კუპიურა ამოიღო მიმოქცევიდან. ყალბი კუპიურებია იყო 10 20 50 100[32]. შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა თუ როგორ შეიძლება მოტყულდეს ბანკი დღეს. ამ კითხვაზე პასუხი კი ის არის რომ მსოფლიოში ჯერ არ არის ისეთი მანქანა, რომელიც სრულყოფილად ამოიცნობს ყალბ და ნაღდ კუპიურას. ჩვენი სახელმწიფობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იყოს ყალბი ფულის დამზადების აღკვეთა, რადგან საქართველოში რომ თუნდაც 100-150 მილიონი ლარის ყალბი კუპიურა, რომ დატრიალდეს ეს იქნება ეკონომიკის სრული კრახი და უმუშევრობის დონის მასობრივი გაზრდა. სახელმწიფოთა უწყებები დიდ საქმეს ასრულებენ ყოველდღიურად და მაქსიმალურად ცდილობენ ეს დანაშულებრივი პირები გამოავლინონ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა ორი პირი, რომლებიც საქართველოში ავრცელებდნენ და ამზადებნენ ყალბ კუპიურებს. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავე პირები დამზადებულ ყალბ ფულს სავალუტო ჯიხურში ცვლიან. საქმე ეხება 12 ყალბი 500 ევროიანი კუპიუერის გასაღებას. ასევე ფინანსთა სამინისტროს ჯგუფმა დააკავა პირები, რომლებიც ყალბ 20 ლარიანი კუპიურებს ამზადებდნენ[33]. ეს კიდე მცირე ჩამონათვალია, თუმცა საქართველოშიც მდგომარეობა საგანგაშოდ არ არის ვიდრე ცალკეული მსოფლიოს ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით.

[32] იხ. ეროვნული ბანკის ანგარიში 2017 წლის
[33] იხ. ფინანსთა სამინისტროს ანგარიში 2016 წელი

2.3. ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინკი

„ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ამ მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით. მოტაცებით თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მის აღწევად თან ხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით. ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით“[34].

ტრეფიკინგის მსხვერპლი არამხოლოდ ქალბატონები არამედ თავად მამაკაცებიც ხდებიან.ხშირია შემთხვევები, როდესაც მამაკეცები მონური მუშობის პროცესში ხვდებიან. რაც შეეხება ქალებსა და ბავშვებს ისინი ხდებიან ვაჭრობის მსხვერპლი ანუ ადამიანების ვაჭრობით,რომელიც უმძიმესია. არ უნდა ხდებოდეს ესეთი დანაშულებები მაგრამ სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები როდესაც ეს ხდება დღსდღეობითაც. პორნოგრაფია დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება. დანაშულია პრონოგრაფიის რაიმე ხელსაწყოთი გადაღება დამუშვება და შემდგომში არალეგალურად მისი ინტერნეტ სივრცეში განთავსება. ამის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ქალები და არასრულწლოვანები ბავშვები ხდებიან. ასევე ადამიანით ვაჭრობის მათხოვრობის იძულების მსხვერპლი ხდებიან როგორც წესი ისეთი ადამიანები, რომელთაც არა აქვთ ოფიციალური დასაქმების უფლება და მათხოვრობის გარდა მათ სხვა გზა არა აქვთ.ასეთ პირებში მოიაზრებიან ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობის პირები და მოხუცები, რომელთაც ამ საქმიანობის გაკეთება იძულებით უწევთ. აი ეს მაგალითები არის ადამიანთა ვაჭრობის ძლზედ გავრცელებული ფორმები, მაგრამ ცხადია ამის გარდაც არსებობს. ვაჭრობა ბავშვებით და სუროგატი დედის როლის შესასრულებლად და კიდევ ბევრი.

ადამიანთა ვაჭრობის შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია, როდესაც ხდება პიროვნებების იძულებითი მუშაობა. დაპირება უკეთესი

[34] იხ.ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ), 2003

სამსახურის პირობების შექმნის სინამდვილეში კი ამის არსებობა საერთოდ არც არსებობს. ასევე ხშირია შემთხვევები, რომ ამ დანაშულისას პირებს ართმევენ პასპორტს და ყველა იმ საბუთს, რომელიც მას სჭირდება ქვეყნიდას გასავლელად და მუქარით ეს პირები ვალდებულნი არიან მოემსახურონ სხვას. ადამიანით ვაჭრობით დაკავებული პირები ხშირად უკრძალავენ საკუთარ მსხვერპლებს თავისუფალ გადაადგილებას. ადამიანით ვაჭრობის ტრეფიჯინკის ხელშემწყობი მიზეზების მიხვედრა ცხადია არ გაგვიჭირდება. პირველ ადგილზე ეს არის სიღარიბე, რომელიც უზღუდავს ადამიანს კარგი განათლების მიღებას, ასევე კარგ სოციუმში მოხვედრას ნორმალური სამსახურის მოძიებას და ისინი თანხმდებიან ხშირად დაუფიქრებლადაც კი. დღეს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი არის მუშა ხელი და დამსაქმებელი დიდ მოგებაზე გადის, როდესაც ის შოულობს იაფ მუშა ხელს. დამსაქმებელები ხშირად ადგენს ტიპიური მსხვერპლის სურათს.ის წინასწარ ისწავლის მის ეკონომიკურ მდგომარეობას და მან შეიძლება დასაქმება კარგად დაუხატოს ამის შემდგომ მსხვერპლი რა თქმა უნდა თანხმდება ასეთ შემოთავაზებას. სოციალურად დაუცველი პირები დაუფიქრებლად თანხმდებიან ასეთ წინადადებებს და ისინი ვერც კი აანალიზებენ იმას რომ მსხვერპლები გახდნენ. ტრეფიკიორები ასევე ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც განათლება მიღებული არა აქვს ასეთი ადამიანი კიდე უფრო ადვილად ასაყოლიებელია. ამ პირმა არ იცის მისი უფლებების შესახებ რა უფლებები აქვს. ამის მიუხედავად კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებული ადამიანებიც ებმევიან მახეში. ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენ ემიგრანტების საერთო სურათი. „არალეგალი მომსახურე-მიგრანტები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ადამიანით ვაჭრობისათვის, ვინაიდან მათი სამსახურში აყვანის პირობები არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის ჩვეულებრივ ზომებს. უკანონო ემიგრანტებთან მიმართებაში ხორციელდება ისეთი ფორმის ექსპლუატაცია, როგორიცაა საბუთების ჩამორთმევა, იზოლაცია და თავისუფალი გა და ადგილე ბის შეზღუდვა, მუშაობა ანაზღაურების გარეშე ან ანაზღაურების გაურკვეველი პირობებით. ექსპლუატაციის ეს მეთოდები ხშირად უტოლდება მონურ შრომას“[35]. როგორც

[35] იხ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, ღონისძიებათა კომპლექსი

უკვე ვისაუბრეთ ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლად გახდომის ყველაზე დიდი რისკი არსებობს ქალებსა და ბავშვებში. ქალები რომლებსაც არა აქვთ შემოსავლის წყარო ხშირად ებმევიან მახეში. კვლევებმა აჩვენა რო ეს არის მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი დედები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დედები.რაც შეეხება ბავშვთა ჯგუფს ისინი ვაჭრობის მსხვერპლი ხდებიან როდესაც მიეკუთხვნებიან სოციალურთა დაუცველ ოჯახებს, ბავშვთა სახლში აღსაზრდელებს და მშობლების ყურადღბა მოკლებულ ბავშვებს. უნდა გამოვყოთ ადამიანთა ვაჭრობის ნეგატიური შედეგები.ეს ნეგატიური შედეგები კარგად არის ჩამოყალიბებული სტატიაში „კანადის ქალის სწავლა“ რომელიც შემდეგ მოცემულია ალექსანდრე დემელჩუკის ნათარგმნ სახელმძღვანელოში.ნაწარმოებში ჩამოთვლილი იქნება ის 3 ნეგატიური შედეგი რომელიც გადმოღებულია სრული ციტირებით.

1. „ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, როგორც წესი, არ აქვთ საკუთარ სხეულზე, სქესობრივ ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე კონტროლის უფლების შესაძლებლობა. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ქალები და ბავშვები პრაქტიკულად ვერ აკონტროლებენ პირობებს, რომელშიც ისინი იძულებულნი არიან დათანხმდნენ სქესობრივ კონტაქტს და ამიტომ აივ/შედსით დაავადების რისკი მათთვის გაცილებით მაღალია. ამ თვალსაზისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასაკობრივი ფაქტორი. რაც უფრო ახალგაზრდაა ქალი, რომელიც ხდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, მით უფრო მაღალია მისი აივ/შიდსით დაავადების რისკი, ბიოლოგიური ფაქტორის, და ასევე იმის გამოც, რომ მათ არ შეუძლიათ თავის დაცვა“[36].

2. „ადამინით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან ჯანმრთელობის გამო, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ხანგრძლივმა იძულებითმაშრომამ ან პროსტიტუციამ შესაძლოა მიაყენოს მათ ფიზიკურ, სოციალურ ან ფსიქოლოგიურ განვითარებას გამოუსწორებელი ზიანი. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები და მოზარდები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მიიღონ განათლება და შეიძინონ

ავტ.ნინო გოგოლაძე

[36] იხ. Wenner holm/Canadian Woman Studies/Les Cahiers de la Femme, 2003 Spring-Summer

საარსებო უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს და აყალიბებს სათანადო სოციალურ ქცევას“[37].

3. „სპეციალისტების აზრით ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანით ვაჭრობას, როგორც ფაქტორი, რომელიც უბიძგებს ნარკომანებს სარისკო ქცევისკენ და როგორც საშუალება, მსხვერპლის ქცევის გასაკონტროლებლად. ადამიანით ვაჭრობა წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ადამიანის უფლების დარღვევას. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ზომები მოითხოვს აქტიურ მიდგომას ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. ტრეფიკინგთან დაკავშირებული ბრძოლისა და გაფრთხილების ნებისმიერი ზომა მიმართული უნდა იყოს ამ დანაშაულებრივი ქმედების

შედეგად დაზარალებულ მსხვერპლთა უფლებების უზრუნველყოფის, მათი დაცვისა და დახმარების, ასევე, მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის“[38].

საქართველოს კანონმდებლობა ცხადია არეგულირებს ადამიანთა ვაჭრობის დანაშაულს. სისხლის სამართლის კოდექსის 143’ მუხლით გათვალისწინებულია ეს დანაშული. ამ დანაშაულის სასჯელი კი მკაცრია. ტრეფიკიორი შეიძლება დასჯილი იყოს 12 წლამდე პატიმრობით. არა მხოლოდ საქართველოში არამედ ბევრ სახელმწიფოში ასევე მკაცრია სასჯელი ამ დანაშულისა.

საქართველომ 2000 წლის 15 დეკემბრის პალერმოში გაეროს კონვენციის ოქმზე ხელმოწერით, საკუთარ თავზე აიღო ისეთ დანაშულებთან ბრძოლა როგორიცაა არალეგალური მიგრაცია და ტრეფიკინგი. ეს კონვენცია ძალაში უნდა შესულიყო 2 წელში მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა. ერთ-ერთ მთავარი ამოცანა იყო საქართველოს მისი კანონმდებლობა უნდა მოეხდინა გაეროს კონვენციების მოთხოვნებთან ჰარმონიზაციაში, რაც ყველას კარგად მოგვეხსენება ეს რთული საკითხია.ამას დიდი დრო და რა თქმა უნდა დიდი რესურსი სჭირდება. კრიმინალური ორგანიზაციები ადამიანებით ვაჭრობით ძალიან დიდ სარგებლობას ნახულობენ. არის ამის ფაქტებიც და ბერი ავტორი თავად ეყრდნობა ამ ფაქტებს. ორგანიზაციები ადამიანის არალეგალურ ექსპორტს

[37] იხ. Trafficking and HIV/AIDS, Jane Gronow and Deborah McWhinney/Challenging trafficking in?persons: the oretical debate & practical approaches/Sector Project against Trafficking in Women
[38] იხ. Wenner holm/Canadian Woman Studies/Les Cahiers de la Femme, 2003 Spring-Summer

ახდენს რათა თვითონ ამ ადამიანის მეშვეობით დიდი სარგებელი მიიღოს. ტრეფიკინგის მსხვერპლი ყოველწლიურად ოთხ მილიონზე მეტი ადამიანია[39]. მთლ მსოფლიოს პრობლემად გადაიქცა არალეგალური გადაყვანა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, რომლებსაც ცხადია მართავენ ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფები, რომლებიც ტავად პირთაგან ღებულობენ შემოსავალს ასევე. ყოველწლიური შემოსავალი ორგანიზაციული დაჯგუფებების კი აღწევს დაუჯერებელ ციფრებს 7 მილიარდ დოლარს, მართალია ეს ციფრი ცოდა შემცირდა ადრიანად კი ეს 10 მილიარდამდეც კი ადიოდა[40]. ადამიანის ტრეფიკინგი ნიშნავს პირების გადაბირებას გადამალვას ან მიღბას დაშინებით ან ძალის გამოყენებით, ან ძალადობის გატაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ან შექმნილი ვითარები ბოროტად გამოყენების გზით[41]. ტრეფიკინგი კარგად არის ჩამოყალიბებული თინათინ წერეთლის კრიმინოლოგიაში, რომელიც განსაზღვრავს ჯერ კონვენციას და შემდგომ საუბრობს თავად ამ პრობლემის არსზე რასაც ადამიანებით ვაჭრობა ქვია. ტრეფიკიგის ამომწურავი დეფინიციაც ვერ ხსნის ამ რთული მოვლენის ძირითად ნიშნებსა და სპეციფიკას, იგი საჭიროებს მისი შემადგენლობის ღრმა ანალიზს და სისტემატიზაციას[42].

ტრეფიკინგი შეიძლება მოვიაზროთ,როგორც მონობა რევანდელი თვალსაზრისით. ქართულ სისხლის სამართალში ის მოიაზრება როგორც, პირის ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებებით გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რომელშიც მოიაზრება როგორც კომერციულ-სექსუალური, ასევე შრომითი ექსპლუატაცია[43].

---

[39] იხ. international migration organization- kiev 1998
[40] იხ. geneva 1994 26-28 oct. p.5-6 us migration
[41] იხ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ. 219
[42] იხ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ. 219.
[43] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143’ მუხლი

2.4. იარაღის უკანონო გაყიდვა

იარაღის გაყიდვა ერთ-ერთი მსხვილ შემოსავლიანი დანაშაულია, რომლებსაც მიმართავენ ორგანიზებული დანაშაულებების ჯგუფები. არიან ქვეყნები სადაც ამ დანაშულთან ბრძოლა წლებია მიდინარეობს მაგრამ შედეგი პრაქტიკულად არ არის. იარაღის უკანონო ბრუნვა დღეს მეორე ადგილზეა.ის ჩამორჩება ნარკობიზნეს. არალეგალურ ბაზარზე იარაღის მოთხოვნას შეიძლება დავუკავშიროთ ის რომ არსებობს პოლიტიკური არასტაბილურობა. შავ ბაზარზე არის მონაცემები თუ რომელ იარაღს ანიჭებენ უპირატესობას მყიდველები. პირველ ადგილზეა კონტრაფაქტური მსუბუქი ცეცხლასსროლი იარაღი მეორე ადგილზე კი ზომით დიდი გადასატანი სარაკეტო კონპლექსის იარაღი. შავ ბაზარზე გაყიდულმა იარაღებმა შეიძლება მიაღწიოს ლეგალურად გაყიდული იარაღების დაახლოებით 20-25 %-ი. ეს კი ძალიან მსხვილი ციფრია. მთელი მსოფლიო ებრძვის იარაღის კონტრაბანდას. დღეს არ არსებობს რაიმე რომელიც მთლიანად მოახდენს იარაღის ვაჭრობის რეგულირებას. შეიძლება შეიქმნას ისეთი სასამართლო, რომელიც შეისწავლის უკანონო იარაღის ვაჭრობის საქმეებს და ამან შეიძლება ცოტათი შეამციროს დანაშულობა. ასევე უნდა ჩატარდეს ისეთი ღონისძიებები რომლებიც აღმოფხვრავს შავ ბაზარს. კიდევ შეიძლება ერთ-ერთ ზომად მიღებული იქნას, რომ ქავეყნების სახელმწიფო დონეზე აუცილებელია იარაღის წარმოების არდაშვების ზომების მიღება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება შემცირდეს იარაღით ვაჭრობის რიცხვი. ცხადია ყველაფერი სწრაფად მოგვარებადი არ არის და ნელნელა უნდა დაიწყოს რათა სახელმწიფოებს არ გაექცეთ მართვის სადავეები ხელიდან. რაც შეეხება ჩვენს სახელმწიფოს შსს ამ პრობლემის წინაშე კარგად გამოიყურება. ვერ ვიტყვით იმას, რომ ყველაფერი იდეალურად არის, მაგრამ ამ პრობლემას ღირსეულად უძღვება.მკაცრი სასჯელი არის იარაღის უკანონო ტარება შენახვა და ცხადია შეძენაზე. ლიცენზიების გაცემა რთულად ხდება რადგან ეს პრობლემა ბოლომდე გაგებულია. ყველა სახელმწიფოში უნდა მოხდეს უკანონო იარაღის კონფისკაცია დაყადაღება და განადგურება. მკაცრი სასჯელი უნდა შემოიღოს სახელმწიფოებმა რათა აღკვეთონ იარაღით ვაჭრობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამერიკელ კოლეგებთან ერთად აღკვეთეს დანაშულებრივი სქემა, რომელსაც სურდათ საქართველოს საზღვარზე შემოეტანათ დიდი რაოდენობით იარაღი. ასევე გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული პირი ორგანიზებულად მოქმედებდნენ და საზღვარზე შემოქონდათ იარაღი. კერძოდ თბილისში ცხოვრობდნენ ნაქირავებში და ისინი ასაღდნენ უკანონოდ ამ იარაღს. საქართველოს პროკურატურამ ბრალი დადო პირებს სისხლის სამართლის კოდექსის 214[44] მუხლის 5-ე ნაწილით. ამის გარდა გამოძიება მიმდინარეობდა 2007-2008 წლის აგვისტოს ომზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ომის დასაწყისში საქართველოში. როგორც წესი იარაღით ვაჭრობა მკაცრად გასაიდუმლოებულია რასაც შესაბამისი სამსახური პარლამენტის ნდობის ჯგუფის ხელშეწყობით ახორციელებს. ამსათან დაკავშირებით დგინდება რო ამით კერძო პირებმა უკანნონოდ ძალიან ბევრი ფული მიითვისეს. „2008 წლის აგვისტოში, საქართველო, პრაქტიკულად, დაუცველი აღმოჩნდა. არადა, თავდაცვაში უამრავი თანხა იყო დახარჯული. მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გაგახსენებთ, პუტინმა პირდაპირ მითხრა, ომის დაწყებას 2007 წლის დასაწყისში აპირებდაო. ამ განცხადების შემდეგ, თავდაცვის ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან კიდევ გაიზარდა და მილიარდამდე ავიდა, საიდანაც 500 მილიონი იარაღის სახელმწიფო შესყიდვებზე დაიხარჯა. კი ბატონო, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე უნდა იზრუნო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს სამხედრო ტექნიკა და იარაღი საქართველოში, პრაქტიკულად, არ შემოსულა... რასაც ახლა გეტყვით, შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ აგვისტოს ომით რუსეთმა ფინანსური მოგება ნახა. ზოგადად, რუსეთი იარაღს ყოველთვის იმ ქვეყნებს აწვდის, რომლებსაც ემბარგო ადევს“[45], აქედან დგინდება რომ იარაღით ვაჭრობა ერთ-ერთი უმსხვილეს ბიზნეს წარმოადგენს, რომელიც როგორც წესი კონკრეტულ პირებზე გადის.ისინი სარგებლობენ ამით და მათ არ აინტერესებს არც სახელმწიფო და არც საკუთარი ქვეყანა ისინი, მხოლოდ არალეგალურად მიღბულ ფულზე ფიქრობენ.

ქურდული სამყარო ერთ-ერთი დიდი მამოძრავებელია იარაღით ვაჭრობის დანაშულში. ხშირია შემთხვევებ,როდესაც ისინი დიდი რაოდენობით იარაღს ეზიდებიან. არსებობს რუსული მაფიები რომლებმაც საფრანგეთში სახელი გაითქვეს ამ საქმიანობით. იარაღით უკანონო ვაჭრობის ციფრი ყოველწლიურად მზარდად იზრდება.ბოლო მონაცემებით წელიწაში ეს ციფრი 400 მილიონ დოლარსაც აღმატება. გაეროს მონაცემებით მაფიის უკანონო ტვითბრუნვაში მოიაზრება ორი სახელმწიფოს რუსული მაფიის და მასთაან ერთად ამ მაფიის ქართული შტოებიც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაამკაცრა სასჯელი იარაღის უკანონო გაყიდვაზე, მის ტარებაზე და ასევე შეძენაზე. „შინაგან საქმეთა

[44] იხ.სისხლის სამართლის კოდექსის 214 მუხლი

[45] იხ. ნინო დოლიძის სტატია აგვისტოს ომზე

სამინისტროს მიერ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების მიზანი და ამოცანაა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით, განსაზღვროს ისეთი რეგულაციები, რომლებიც ეფექტიანად უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას, ასევე, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და მოქალაქეთა თანამშრომლობის ხარისხის გაზრდას“[46].

2.5. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა

ადამიანების ორგანიებით ვაჭრობის დანაშული კიდევ ერთი მსხვილ შემოსავლიანი დანაშულია დანაშულთა შორის. ადამიანები საკუთარ ორგანოებს ყიდიან რათა ამით რაიმე შემოსავალი მიიღონ. არის ისეთი შემთხვევები როდესაც ეს ოპერაციები ხშირად კრახით სრულდება.მედიცინა დღითიდღ ვითარდება ამიტომ უკვე ყველაფრის ოპერაციის გაკეთებაა თითქმის შესაძლებელი. ადამიანს შეუძლია საკუთარი ორგანოები რეპროდუქციული ფუნქციის კომერციულად გამოყენება. ორგანოებით ვაჭრობა შეიძლება დაიყოს:

ტრანსპლატაცია

კომერციული შვილოსნობად

სუროგატული დედები.

„ტრანსპლატაცია-ეს არის ადამიანის ორგანოების სხვა ადამიანისთვის გადანერგვა“[47]. ადამიანები ხშირად მსხვერპლის როლში გვევლინებიან რადგანაც ისინი შეცდომას უშვებენ და თავიანთ ორგანოებს ჰყიდიან ვაჭრებს.ეს ხდება როდესაც ადამიანს სხვა გზა აღარ აქვს. ის მძიმე ეკონომიკური ფონის ქვეშ არის და ერთადერთი გამოსავალია თავისი სხეილის რაიმე ორგანო დათმოს იმისათვის რომ თავი გაიტანოს. ასევე ეგრეწოდებული ვაჭრები მსხვერპლს ჰპირდებიან საზღვარგარეთ კარგ სამუშო პირობებს და მსხვერპლი მას სიტყვაზე ენდობა ამის შემდგომ კი ისინი სთავაზობენ რომ ძალიან დაბალ ფასად რაიმე ორგანო დათმონ. არის ისეთი ბაზრები სადაც სხეულის თითქმის ყველა ორგანოს ფასი ადევს.

„შავ ბაზარზე“სხეულის ორგანოების ფასი.

---

[46] იხ. ნათია მეზვრიშვილის ინტერვიუ

[47] იხ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ.232

1. თვალები - 1525 აშშ დოლარი

2. თავის კანი თმით (სკალპი) - 607 აშშ დოლარი

3. ყბის ზედა ძვალი - 1200 აშშ დოლარი

4. კორონარული არტერია - 1525 აშშ დოლარი

5. მხარი - 500 აშშ დოლარი

6. გული - 119 000 აშშ დოლარი

7. ღვიძლი - 157 000 აშშ დოლარი

8. მკლავი - 385 აშშ დოლარი

9. კუჭი - 508 აშშ დოლარი

10. წვრილი ნაწლავი - 2519 აშშ დოლარი

11. ნაღვლის ბუშტი - 1219 აშშ დოლარი

12. კანი - 10 აშშ დოლარი თითო ინჩი

13. თირკმელი - 262 000 აშშ დოლარი

14. სისხლი - 337 აშშ დოლარი 500 გრამი

მსხვერპლი ხშირად წამოეგება ანკეს, როდესაც ამ ფასებს ნახულობს და მას ჰგონია,რომ ზუსტად ამდენივეს აიღებს ის მის ორგანოში. ასევე შვ ბაზარზე არსებობს ადამიანის აღნაგობის და სიძლიერის მიხედვით ფასთა სხვადასხვაობა, როგორც მამაკაცზე ასევე ქალბატონებზე.

რაც შეეხება კომერციულ შვილოსნობას ის წარმოადგენს ქალის უნარს რეპროდუქციის გამოყენებას კომერციული მიზნისათვის. ქალის ორგანიზმი გამოიყენება როგორც საორსულოდ ასევე სამშობიაროდ. დღეს ძალიან ბევრი ქალბატონი მიმართავს ამ ხერხს და საკმაოდ სარფიანია ასეთი შემოთავაზებები. მაგრამ დანაშაულს რაც შეეხება ასეთი ქალბატონებს ჰპირდებიან ასევე კარგ თანხას და წაიყვანენ საზღვარგარეთ და აიძულებენ მუცლით ატარონ ბავშვი. მსხვერპლს ძალიან მცირე თანხას აძლევნდენ და შუამავალი კი დიდ მოგებას ნახულობდა ამით.

ერთ-ერთი გავრცელებულია კიდე ორგანოებით ვაჭრობისას სუროგატობა. ექსპლუატაციის ამ მეთოდს იყენებენ თანამედროვე მედიცინაში. ეს ნიშნავს რომ ადამიანი სხვის ბავსშვს ატარებს მუცლით და ბავშვის დაბადების შემდგომ ის

იღებს სარგებელს. ეს ძალიან გავრცელებული მეთოდია დღეს. არის შემთხვევები როცა ამას მოდელები მიმართავენ მათ არ სურთ მუცლით ატარონ ბავშვი 9 თვის განმავლობაში ისინი ნახულობენ სუროგატ დედებს და თანხის სანაცვლოდ სუროგატი დედები აჩენენ ბავშვს. ამ საქმიანობისთვის გამოსადეგია ყველა ვინც ჯამრთელია.

ამდენი რამის მიუხედავად ორგანოებთა ტრანსპლანტაცია მაინც დეფიციტურია მთელს მსოფლიოში. ფიქრობენ შექმნან ისეთი რაიმე რაც ხელს შეუწყობს ტრანსპლანტაციას და ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მოიზიდავს მეტ დონორს. ამ ყველაფრის მიხედვით 2007 წელს მიიღეს სტამბოლის დეკლარაცია[48]. ამ დეკლარაციის შემდგომ გამოიცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეზოლუცია, რომელიც განმარტავდა რომ ადამიანთა ვინაობა უნდა ყოფილიყო დაფარული და უსასყიდლო გარდა ერთი ქვეყნისა და ეს ქვეყანა ირანია სადაც შესაძლებელია ორგანოებით ვაჭრობა. ამის შემდგომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს საკუთარ სახელმწიფოებში ამ პრობლემების მოგვარება კანონის გზით.

„ფინეთში დონორი შესაძლებელია იყოს სრულწლოვანი პირი. ამასთან, ტრანსპლანტაციისთვის საჭიროა დონორის წერილობითი თანხმობა. დონორს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ორგანოს გაცემაზე[49]. დონორად ითვლება მხოლოდ რეციპიენტის ახლო ნათესავი (მეუღლე, დედა, მამა, შვილი, ბებია, ბაბუა, ძმა, და, შვილიშვილი) ან მასთან დაახლოებული პირი. ორგანოს გადანერგვაზე თანხმობას გასცემს სამედიცინო სამართლის საქმეთა ეროვნული საბჭო“[50].

„სომხეთში ორგანოთა ტრანსპლანტაციის საკითხი წესრიგდება „ადამიანის ორგანოთა ან ქსოვილთა ტრანსპლანტაციის შესახებ“ კანონით. კანონით არ არის განსაზღვრული დონორთა წრე. კანონის მე–11 მუხლში მოყვანილია ვინ არ შეიძლება იყოს დონორი. მაგალითად, 18 წლამდე ასაკის პირი; ინვალიდი; ორსული; პატიმარი. აქვე აღნიშნულია, რომ აკრძალულია ორგანოს გატანა სომხეთის ფარგლებს გარეთ. შემოტანა ნებადართულია[51]“.

---

[48] იხ. დეკლარაცია ტრანსპლანტაციურ ტურიზმსა და ორგანოთა ვაჭრობის შესახებ

[49] იხ. სტატია ორგანოთა ტრანსპლანტაცია და ცოცხალ დონორთა წრე ავტ.ნინო კალანდაძე

[50] იხ. The National Board of Medicolegal Affairs.

[51] იხ. სტატია ორგანოთა ტრანსპლანტაცია და ცოცხალ დონორთა წრე ავტ. ნინო კალანდაზე

ინდოეთში ყველაზე გავრცელებულია ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობა. ეს ყველაფერი ცხადია არალეგალურად ხდება. არსებობს ბევრი არალიცენზირებული საავადმყოფოები, რომლებიც კონკრეტულ პირს ფულს სთავაზობენ, რაიმე ორგანოს სანაცვლოდ. უფრო მეტიც ხშირია შემთხვევები როცა ისინი ადამიანის თანხმობის გარეშე იტაცებენ მათ ორგანს რაც არ უნდა გასაკვირი იყოს[52].

[52] იხ. Transplantation of Human Organs Act,

თავი 3. ორგანიზებული დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები

3.1. ობიექტური ფაქტორები

ორგანიზებული დანაშულის ხელშემწყობი ფაქტორები უპირველეს ყოვლისა არის საზოგადოების არასათანადო ინფორმიულობა.ქურდული სამყარო ბევრ წრეში ისევ პოპულარობით სარგებლოს. ასეთ დროს დიდია ალბათობა იმისა რომ მზრუნველობა მოკლებული ბავშვები და სოციალურად დაუცველი ფენა ხშირად ხვდება მათ მახეში.ერთადერთი გზა მათი ამ ფენიდან ამოსვლის ეს არის თავის გზა დაუკავშირონ კრიმინალურ სამყაროს.ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში არ აქცევენ მას ყურადღბას და მათ ასეთი საქციელით სურთ თავდაპირველად ოჯახის წევრების ყურადღბის მიქცევა.ვერ ხვდებიან თუ რა დიიდ პრობლემაში იჩეხებიან. კიდევ ერთი შეიძლება დავასახელოთ რომელიც არის სახელმწიფო არ ზრუნავს ასეთ პირებზე. პრობლემის გადაწყვეტა მისი მიზეზების ახსნაში უნდა ვეძებოთ.პრობლემა,რომ მართლაც უმთავრესია დღეს. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს და ხსნის დანაშაულის მიეზებსა და არს. პლატონი ამბობდა რომ დანაშულის მიზეზი იმ პიროვნებაში უნდა მოიძებნოს, რომელიც თავად ამ დანაშულს ჩადის. მეცნიერების აზრი არის შემდეგი.ისინი გამოთქვამენ ორ ვარიანტს:

პირველი: სოციალურ გარემოში არშეიძლება იყოს დანაშულის გამომწვევი მიზეზები

მეორე: ნებისმიერ გარემოში შეიძლება არსებობდეს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.

„ი.ს. ნოის თქმით დანაშულისს მიზეზები უნდა ვეძებოთ თავად ადამიანის პიროვნულ თვისებაში. ანუ პირს თავიდანვე აქვს რაღაც ცნობიერებაში, რომელიც დროდადრო ვითარდება და ისეთ გარემოში მოხვედრის შემდგომ, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ამ დროს ეს ქვეცნობიერი იღვიძებს და დანაშულს

ჩადის“ [53] . „სტუჩკოვი მიიჩნევს, რომ უშუალოდ მიზეზები უნდა მოიძებნოს ცნობიერებაში და არაც თუ მის გარეთ. ძალა ყოველთვის გადაიქცევა მის ნების მოწოდებად ამიტომ ეს თავად უნდა იყოს დაძლეული“[54]. კრიმინოლოგები ასვე აღნიშნავენ, რომ (დოლგოვა, კოგანი,იაკოვლევი) დანაშული უპირველეს ყოვლისა მოდის თავად პირის ეკონომიკური მდგომარეობიდან[55].

ქართველი კრიმინოლოგი მარინა ბალიაშვილი მიიჩნევს, თავდასხმა, ცემა, ძალადობა ის ამას უწოდებს აგრესიის გამომწვევ მიზეზებს. რომელიც ასახულია ნონო მამრიკიშვილის დისერტაციაში და რომელსაც სრული პერიფრაზით გადმოგცემთ.

1. „შინაგანი ფაქტორები (აქ გამოყოფილია განრისხება, სექსუალური აგზნება, იუმორზე ემოციური რეაგირება. სტატისტიკური მონაცემებით ცნობილია, რომ განრისხებით არის მოტივირებული მკველეობათა სამი მეოთხედი)“[56] .
2. „სიტუაცია - როგორც ფიზიკური, ისე სოციალური გარემოს ფაქტორები[57]“
3. „ალკოჰოლი, ნივთიერება, რომელიც ცვლის „მეს“ გაცნობიერებას და ზრდის აგრესიას;
4. გარემოში აგრესიული ქცევის ნიმუშების არსებობა;
5. აგრესიისა და ძალადობის სისტემატიური ყურება;
6. აგრესიის გამოწვევა შეეუძლია გარესიტუაციაში აგრესიასთან ასოცირებულ ისეთ საგანთა არსებობას, როგორიცაა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი[58]“

დანაშულის ჩადენა შეიძლება დაკავშირებული იყოს პირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთანაც კი. მიზეზები ამის შეიძლება ბევრი მოიძებნოს. მშობლების ნაადრევი გარდაცვალება, მარტოობა, თავში ჩაკეტულობა, უკეთესი პირობების

---

[53]იხ. Ной И. С., Методологические проблемы советской криминологии, — Саратов, 1975
[54] იხ. Стручков Н. А. Преступность как социальное явление. — Л., 1979
[55] იხ. Кудрявцев В. Н., Ускорение социально - экономического развития и задачи ученых - юристов // Советское государство и право, 1986.
[56] იხ. დისერტაცია ნინო მამრიკიშვილის დანაშულის პრევენციის გადაჭრის ფაქტორები გვ.20
[57] იხ. დისერტაცია ნინო მამრიქიშვილი გვ.20
[58] იხ.დისერტაცია ნინო მამრიქიშვილი გვ.20

თავად შექმნა და ა.შ. ასეთ დროს ცხადია მას ვინმე გვერდით უნდა დაუდგეს. ამ შემთხვევაში კი არის ეს სკოლის პედაგოგი, რომელმაც უნდა მოუსმინოს და გულთან ახლოს მიიტანოს პიროვნების გასაჭირი და ყური უგდოს მის ქცევას. თუ რაიმეს შეამჩნევს ასეთ დროს საქმეში შესაძლოა ჩართული იყვნენ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებიც კი. ბავშვის აღზრდას უდიდესი როლი ეთმობა ასეთ დროს, მშობელი ახლოს უნდა იყოს მასთან, მეგობრულად არ შეიძლება მხოლოდ სკოლით შემოფარგლა. ის უნდა დაინტერესდეს მისი შინაგანი მდგომარეობით, უნდა ესაუბროს ხშირად, უნდა აუხსნას თუ რა შეიძლება მოყვეს მის ცუდ საქციელს. ის პირები ვისაც ეს ყურადღება მოკლებული აქვთ უდიდესი მსხვერპლი ხდებიან „შავი გაგების“ პირების. ხელშემწყობი ფაქტორებიდან აუცილებლად უნდა ვახსენოთ საკანონმდებლო შეზღუდვები რომელიც ხელს უწყობს დანაულს. აშშ-ში ორგანიზებულ დანაშულის გაზრდას ხელი შუჭყო მშრალმა კანონმა რაც მიიჩნევა ერთ-ერთ პრობლემად მათ ისტორიათი. ამერიკა კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებას და გაყიდვას ამის შემდგომ კი დაიწყეს შვი ბაზრით მათი დამზადება და გაყიდვა. „მშრალი კანონი“ ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერების კარგი ფინანსური ბაზისი აღმოჩნდა. 1920-1921 წლებში განხორციელებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მკვეთრად იმატა როგორც სხვა ტიპის დანაშაულებმა (ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, ნარკოტიკების მოხმარება), ისე მართლმსაჯულების სისტემის დანახარჯებმა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო სწორედ მშრალი კანონის შემდეგ წარმოშობილ შავ ბაზარზე დაწყებული ძალადობით, კრიმინალური ორგანიზაციების აღმოცენებითა და კანონის დამცველთა რესურსების სხვა ქმედებებისკენ მიმართვით. ამასთან, თუ 1919 წელს ერთი ამერიკელი ალკოჰოლურ სასმელზე ხარჯავდა 17 დოლარს, აკრძალვით წარმოქმნილი დეფიციტის გამო 1930 წელს ეს რიცხვი 35 დოლარამდე გაიზარდა. და ბოლოს, ,,მშრალი კანონის“ შედეგად აღმოჩნდა ალკოჰოლის წარმოების არალეგალური ინდუსტრია, რომელსაც წლიურად დაახლოებით 3 მილიარდი უკანონო შემოსავალი ჰქონდა. 1933 წელს, ,,მშრალი კანონი“-ს გაუქმების შემდეგ ორგანიზებულმა დანაშაულმა თითქმის მთლიანად დაკარგა

ალკოჰოლის შავი ბაზრიდან მიღებული შემოსავლები“[59]. ანუ შეიძლება რაღაც კანონის აკძალვამ რომელიც დაფიქრებული და კარგად გააზრებული არ იქნება იმატოს დანაშულმა.

3.2. დანაშულის მიზეზები

უპირველეს ყოვლისა დანაშულის მიზეზად შეიძლება მიჩნეული იყოს ისეთი პატარა და ზოგისთის პრიმიტიული მიზეზი, როგორიც არის ახალგაზრდის ასაკი. მისი მომწიფება და ა.შ. სოციალური მდგომარეობა ერთ-ერთი მთავარია როგორც ფაქტორების მდგომარეობაში ასევე მიზეზებშიც. ასევე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მათი სამეგრობრო და საამხანაგო. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირები სხვის თვალში ასამაღლებლად ჩადიან ისეთ დანაშულებს, რომლებიცრეალურად არ სურდათ რომ მათ ჩაედინათ. ავტორს კი მთავარ მიზეზად მაინც ოჯახი და აღზრდა მიაჩნია. მშოველი ყველაფერს ცდილობს მისცეს ბავშს, კარგი ტანსაცმელი, საკვები, განათლება, სათამაშოები არაფერი არ უნდა მოაკლოს და ის ამისათვის ყველაფერს აკეთებს. საბოლოოდ ამ გარემოების შექმნის დროს მას ავიწყდება მისთვის ყურადღბის მიქცევა. უშვებს სკოლაში და ხშირ შემთხვევაში შეიძლება არც დაინტერესდეს თუ ბავშვი იქედან რატო მოვიდა უხასიათოდ ან რატო მოვიდა ადრიანად. მეტიც ის ძალზეც ენდობა. დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება აღზრდას. „დავით ლორთქიფანიძის განმარტებით, „აღზრდა, პიროვნების ფორმირების პროცესია, რომელსაც მრავალი ნიშანი ახასიათებს. აღზრდა სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენაა, იგი ადამინისეულია და მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს მისი საგანი“[60].

დამნაშვეობისკენ მიდრეკილებას წარმოადგენს კიდე მოზარდთა უყურადღბობა. მოზარდმა იცის, რომ მისი მშობელი მას ჯერ არ მოიკითხავს და ამას გააკეთებს. ამის შემდგომ ის არც დაინტერესდება ამით, იმიტომ რომ მისი შვილის საუკეთესო აღზრდით ის დილიდან სამსახურში არის, რადგან არ უნდა

[59] იხ. მთავარი პროკურატურის ანალიტუიკური სამართველო გვ.3
[60] იხ. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბილისი, 1983 გვ.60

მას რაიმე მოაკლოს. ნინო მამრიკიშვილს აქვს ამის შესახებ ჩატარებული კვლევა, რომელიცგვიჩვენებს, რომ მოზარდი თუ რიგ შემთხვევაში რატო რჩება უყურადღებოდ. „როგორც გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ერთ შემთხვევაში სამსახურებრივი საქმიანობით დაკავებული მშობლები ვეღარ ახერხებენ შვილების მეთვალყურეობას, ან პირიქით უმუშევრობით გმოწვეული პრობლემები იმდენად დიდია, რომ მათ არა თუ აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად ორგანიზებაზე, არამედ ბავშვების გამოკვებაზე ფიქრიც კი უჭირთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლების პირადი კონფლიქტებისა და უთანხმოების ფონზე შვილების აღზრდა მეორეხარისხოვანი ხდება, ხოლო არც თუ ისე იშვიათად, მშობლების მეთვალყურეობის მიღმა არასრული ოჯახის შვილები რჩებიან“[61].

რაც შეეხება დამნაშავეობის მიდრეკილების მიზეზს. ამის მიზეზი შეიძლება ბევრი რამით იყოს გამოწვეული. პირველი ეს შეიძლება იყოს დედ-მაის უყურადღებობით, ახლობლის გარდაცვალებით, რაიმეს დამტკიცებით, დამოუკიდებელი ცხოვრების წყურვილით, ასევე დიდ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს მათი მშობლების განქორწინებაც კი. ისინი რთულად ეგუებიან ამ ფაქტორს მითუმეტეს, თუ ისინი ამ დროს გარდატეხის პერიოდში არიან. ოჯახში არ არის იდილია ამიტომ არასრულწლოვნებს სურთ ეს იდილია სადმე გარეთ იპოვნონ. „ოჯახში, სადაც წევრებს შორის ურთიერთობა არ სუფევს, ბავშვის მყუდროება დარღვეულია და იგი გარეთ ეძებს თავშესაფარს. იმ შემთხვევაში, როცა მოზარდს ვერ უგებენ, არ თანაუგრძნობენ, იგი ოჯახიდან განაპირებლად თვლის თავს და ქუჩაში, თანატოლებთან ეძებს საერთოს. მოზარდს ურჩევნია იმათთან დაამყაროს კონტაქტი, ვინც აღიარებს მას, ვინც არ ჩაჰკირკიტებს და არ შიფრავს მის პიროვნებას. აქ იგი იოლად აღწევს თვითდამკვიდრებას, რასაც ასე მიელტვის“[62]. ასეთ დროს ის ვარდება რთულ ვითარებაში მას სურს დაუმტკიცოს

[61] იხ. ნინო მამრიკიშვილის კვლევა გვ.57

[62] იხ. ჯიქია ლ., როგორ ავიცილოთ არასრულწლოვანთა დანაშაულებანი, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 5, თბილისი, 1990 გვ.27

ყველას, რომ შეუძლია რამე ისეთი უკანონო ქმედების ჩადენა, რასაც სხვა ვერ ბედავს და აი ამ დროს ის იჩეხება დამნაშვეობის ტყვეობაში.

არასრულწლოვანი უნდა იყოს მაქსიმალურად დატვირთული. მშობელს ის ყველგან უნდა დაყავდეს, რათა მას არ შეეხოს „ეგრეწოდებულ ქუჩის ცხოვრება“. ის უნდა დადიოდეს სპორტზე, ცეკვაზე, პედაგოგებთან და შემდეგ მას უნდა მიეცეს თავისუფალი დრო დასვენებისთის. „დასვენება გონებრივი შრომის შემდეგ სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ არაფერი აკეთო, არამედ იმაში მდგომარეობს რომ გამოიცვალო საქმე; ფიზიკური 66 შრომა გონებრივი შრომის შემდეგ არა თუ სასიამოვნოა, არამედ სასარგებლო დასვენებაც არის... მუშაობისათვის ყველაზე მეტად საჭიროა, რომ აღსაზრდელისათვის შეუძლებელი გახდეს ის ლაქიური დროსტარება, როდესაც ადამიანი ისე რჩება, რომ ხელში საქმე არა აქვს და თავში აზრი; იმიტომ, რომ სწორედ ამ წუთებში ფუჭდება თავი, გული და ზნეობა... ასეთი დროსტარება კი ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ სასწავლო დაწესებულებაში და ბევრ ოჯახშიაც კი, სადაც ბავშვებმა და ახალგაზრდა ადამიანებმა, როდესაც სწავლას მორჩნენ პირდაპირ არ იციან რით შეიქციონ თავი და ეჩვევიან დროის მოკვლას“[63].ეს სიტყვები უშკინს ეკუთნის რომელიც არასდროს არ კარგავს ძალას.სკოლას დიდი როლი აკისრია აღმზრდელობით სიტუაციაში. ის და მშობელი ერთად უნდა მუშობდნენ ბავშვის აღზრდაში. დღეს სამწუხაროდ რთულია მოიძებნოს ისეთი კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუსხდებიან თითოეულ მოსწავლეს დაინტერესდებიან მათი პრობლემებით. მიზეზები მრავლად არის და ეხლა უნდა შევეხოთ იმ მძიმე ფონს რაც დგას ჩვენს ქვეყანაში. ეს არის სოციალური მდგომარეობა. სოციალური ფონი მართლაც დაბალია დღეს. 2007-2014 წლის მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყო მოსახლეობის 9% ამის გათვალისწინებით ამ ოჯახის წარმოამდგენლებს რაღა რჩებოდათ მეტი თუ არა დანაშულის ჩადენისა და საკუთარი პირობებბის დროებით მაინც გამოსწორებისა. „ილია ჭავჭავეძე

[63] იხ. უშინსკი კ. დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1948 იგივე გამოყენებულია ნინო მამრიკიშვილის დისერტაციაში გვ.66

ამბობდა,რომ გავლენა აქ იმ წრეს სადაც ბავშვი პირველივე ხანიდავნე ტრიალებს“.[64]

ოჯახიდან მოზარდი, რომ ვერ გრძნობს თანადგომას ის ამის შემდგებ ხდება გულცივი, ჩაკეტილი და აგრესიული. „აგრესია არის ემოციის შედეგად გამოწვეული ქცევის ფორმა სხვა ადამიანებისათვის რაიმე ზიანის (ფიზიკური, სულიერი, საზოგადოებრივი, მატერიალური და ა.შ) მისაყენებლად. საამისო ფსიქოსოციალური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით, ან ამის გარეშე. აგრესია და არასრულწლოვანთა დანაშაული სადღეისოდ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განიხილება. საკმაოდ გაზღდილია აგრესიის ფონი: სულ უბრალო მიზეზის გამო შესაძლოა არასრულწლოვანმა დაჭრას ან მოკლას თანატოლი - ეს ჩვენი მწარე რეალობაა. საკითხი აქტუალურად არის მიჩნეული როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მასმედიისა და სხვა სოციალური სტრუქტურების მიერ. აგრესია და ძალადობა ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ნორმების დარღვევითაც მთავრდება და დანაშაულის სახეს იძენს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2001 წლიდან მოყოლებული რეგისტრირებულ დანაშაულთა სიხშირე მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და პიკს აღწევს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორებსაც, რომ აგრესია ყოველთვის არ იღებს დანაშაულის სახეს, ხოლო არარეგისტრირებულ დანაშაულთა მაჩვენებელი ჩვენთვის უცნობია, მოზარდთა მიერ აგრესიის გამოვლენის ფაქტები, სავარაუდოდ ბევრად მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი[65]“. ავტორი მიიჩნევს რომ ყველაფრის გათვალისწინებით ყველა მხარე უნდა გაერთიანდეს რათა არ მოხდეს დანაშაულში ახალგაზრდა პირთა ჩაბმა. ბევრია ისეთი ვინც ფიქრობს, რომ ადამიანი ყოველთვის თავად იღებს გადაწყვეტილებს იმის შესახებ,რასაც ის ჩავა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის მოზარდები ყველაზე დაუცველები არიან, მათ ჭირდებათ საზოგადოების ყურადღება.

---

[64] იხ ჭავჭავაძე ი., თხზულებები, ტომი VIII, 1914

[65] იხ. აგრესია როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი აგრესიულ ფონზე ჩადენილ დანაშაულთა პრევენცია ავტ. მარიამქართველიშვილი

ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ახალგაზრდებს,რომლების გამოსასწორებელ კოლონიებშია. მათუკვე დაუშვეს შეცდომა და ისინი იქედან სწორ აზრზე უნდა გამოვიდნენ. სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაში მედგრად უნდა იდგეს. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა ახალგაზრდა ქვეყნის მომავალია.

საქართველო ეკონომიკურად არ არის ძლიერ განვითარებული. სახელმწიფოს ახასიათებს უუმუშევრობის დიდი დონე. ხალხთა ნაწილი, როგორც უკვე ვისაუბრეთ სოციალურ დაუცველ ფენაში აღმონდა. ამის ფონზე ცხადია უარესდება არასრულწლოვნების აღზრდის პირობები, რაც მათ დანაშულისკენ უბიძგებს. რაც არ უნდა სამწუხარო იყო ბევრ მათგანში უფროსების უყურადღებობამ სოციალური გადახრების საფრთხის წინაშე დაგვაყენა.

არასრულწლოვან დამნაშვეს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს[66]:

1. განათლების და კულტური შედარებით დაბალი დონე
2. სწავლისა და სპორტისადმი სისტემატური ინტერესის უქონლობა
3. მოთხოვნილებათა და ინტერესების პრიმიტიული ხასიათი
4. გამოკვეთილი ინფივიდუალიზმი
5. მომატებული აგრესიულობა
6. კონფლიქტურ სიტუაციებში უხეშ ძალაზე ორინეტაცია

2012 წელს საქართველოში შეიქმნა დანაშაულის პრევენციის ცენტრი. რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია და მოზარდების სწორ გზაზე დაყენება. ასევე ამის მთავარ ამოცანადაა დანაშაულთან ბრძოლა. პრევენციის ცენტრი კანონთან კომფლიქტში არასრულწლოვნებს ეხმარება რეაბილიტაციაში. ეს თავობს, აღმზრდელობით ფუნქციასაც.ამ ინსტიტუტმა შექმნის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა იმის მიუხედავად, რომ სხვები მას სპონტანურად უყურებდნენ. ასე რომ საქართველო ებრძვის დანაშულს. ყველა მოზარდი უნდა დაფიქრდეს თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მის ქმედებას. უნდა იფიქროს ოჯახზე მის ახლობლებზე,რომლებიც მისთვის ყველაფერს აკეთებენ, რომ რაიმე არ მოაკლდეთ მათ.

---

[66] იხ. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში გვ.291

თავი 4. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა

4.1. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა

ორგანიზებული დანაშალობა მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის.მას ებრძვის უამრავი ქვეყანა. ეს დანაშული სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს. ამიტომ გავეჩნოთ სხვა ქვეყნის გამოცდილებებს, თუ როგორ ებრძვნიან ისინი ამ დანაშაულობას. გავეცნოთ ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას. ყველამ ვიცით რომ ამერიკა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, ამიტომ იქ უფრო მეთი საშიშროებაა იმისა, რომ დანაშულიც რა თქმა უნდა უფრო მეტი სიმრავლით იქნება ვიდრე სხვა ქვეყანაში.

ნარკოტიკებით ვაჭრობა ორგანიზებული დანაშულობის საქმის ყველაზე შემოსავლიანი ფორმაა. ყველა ქვეყანა ცდილობს ამის საწინააღმდეგოდ კანონმდებლობა მაქსიმალურად გაამკაცროს, რათა ამ დანაშულმა იკლოს. 1914 წელს „ჰარისონის აქტის“ მიხედვით უკანონოდ ითვლებოდა ოპიუმის და მისგან წარმოებული ნივთიერებების გაყიდვა. არ შეეძლოთ პირებს შტატიდან შტატში გადაეტანათ აქედან დამზადებული წამლებიც. ამ ყველაფერს სჭირდებოდა ნებართვა.ცხადია კანონმდებლობის სიმკაცრიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო რომელიმე ნარკოტიკის ფლობაც კი. ამერიკამ 1984 წლის აქტით [67] გათვალისწინებული იყო იმ პირების სასჯელების გამკაცრება, რომელიც ფიგურირდებოდა ნარკოტიკული დანაშულში. ამის შემდგომ 1988[68] წელს ამერიკამ საკანონმდებლოში ცვილებები შეიტანა და ამ წლიდან უკვე სამხედრო უწყებებმა თითქმის ჩაიბარა ამ დანაშულთან ბრძოლა. მას ეწოდა კოკაინთან დიდი ბრძოლა.მიიღეს აქტები, რომლებიც აძლიერებდა კონტროლს ნარკოტიკულ დანაშულთან. ამ ცვლილების შემდგომ გაიზარდა სასჯელები მოქალაქე, რომელიც აღმოჩნდებოდა ნარკოტიკული თრობის ქვეშ მას 5000-დან 10000-მდე ამერიკული დოლარის გადახდა უწევდა.

---

[67] იხ. Rhodes R. 1984. Organized Crime: Crime Control vs. Civil Liberties.
[68] იხ. Eddy P. Sabogal H. Walden S. 1988. The Cocain Wars.

ამერიკამ ასევე დიდი ნაბიჯი გადადგა ტრეფიკინგის და ძლადობის შესახებ. გამოუშვეს აქტი „ტრეფიკინგისა და ძლადობის მსხვერპლთა დაცვის“[69]. ეს აქტი არეგულირებდა აბსოლიტურად ყველა საკითხს რაც ეხებოდა იმ დროისათვის მუშხელის ექსპლუატაციას. ასევე რეკეტის წინააღმდეგ გამოცემული აქტი ერთმნიშვნელოვნად იცავდა ვინმეს გავლენის ქვეშ მყოფ, როგორც პირებს ასევე ორგანიზაციებს [70] . 1969წელს ასევე ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლებოდა ამერიკის „დანაშულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის შესახებ“ აქტი[71]. მაგრამ ამას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და მის შმდგომ ფიქრი დაიწყეს იმის შესახებ თუ რა შემოეტანათ ისეთი რასაც მეტ ნაკლებად ყველას მოეწონებოდა. ამის შემდგომ სხვა საკანონმდებლო აქტი შეიქმნა და ის რიკოს ნაწილი გახდა. ეს აქტები იქმნებოდა იმისათვის, რომ ორგანიზებული დანაშულობა არ შეჭრილიყო ბიზნესში. როდესაც რომელიმე აქტი წარმოშობს ბევრ კითხვას ამ აქტის მუშაობა პრაქტიკაში დადასტურდება.

ამის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოგვარებულიყო კონსფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. კონფისკაციის დებულებებთან კრიტიკა იმ დროისათვის არ იყო აზრს მოკლებული, რადგანაც კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ის არ იყო ამოწურვადი. რიკოს ბევრ მომხრეებთან ერთად ბევრი მოწინააღმდეგეც უჩნდებოდ. ეს ახსნილი არის კარგად სამეცნიერო ნაშრომში მესხიშვილის საიდანად გაკეთდება ციტირება[72].

1. რიკო უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლაში. მისი პლუსები ისაა, რომ ის პირველ რიგში ორგანიზებული დანაშულებრივი საქმიანობით მიღბული შემოსავლეიბს კონფისკაციას ახდენს.

2. რიკოს პრინციპის შემდგომ ბევრი სისხლის სამართლის აქტები შეიცვალა

3. რიკოს ხშირად იყენებენ იმ შემთხვევაშიც როცა დანაშული საერთოდ არ ეხება ორგანიზებულს.

---

[69] იხ. Lyman M. D., Poter G. W. 2000. Organized Crime, 2nd edition. New Jersey
[70] იხ. USA. The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act
[71] იხ. The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act
[72] იხ. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში დავით მესხიშვილი

4. ასევე სადაო კონფისკაციასთან დაკავშირებული დებულება

5. ის სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის კონკრეტული მიმართებით აკუმილირების საშუალების მიმცემია.

ამ მითითებების შემდგომ დავინახეთ თუ რა პლიუსები და მინუსები გააჩნია, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აქტი რიკო ორგანიზებუ დანაშულთან მაინც ბოლომდე ამოწურვადი არ არის.

რიკოსგან განსხვავებით შეიქმნა ახალი აქტი, რომელიც მართალია ემსახურება იმას რასაც რიკო, მაგრამ ეს აქტი მხოლოდ ნარკოტიკების შესახებ მოქმედებს[73]. ამ აქტს დაერქვა „განგრძობადი კრიმინალური ბიზნესის შესახებ". დანაშაულის განსაზღვრისას ყოველთვის ექცევა ყურადღება დამნაშავეთა რაოდენობას. 1970 წლის შემდეგ დასჯადი გახდა სერიული დარღვევა ან ამგვარი ქმედების განხორციელება თუ მონაწილეობს 4-ზე მეტი პირი. სხვა კანონმდებლობით სერიული იყო როცა 3პირი ჩადიოდა დარღვევას, მაგრამ იმისთვის რომ ამ აქტით პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს უნდა იყოს დამრღვევი ან ორგანიზატორი, ამ მენეჯერი ან ამ დანაშაულის შემდგომ მან გარკვეული სახის სარგებლობა მიიღოს სარგებლობას მნიშვნელობა არ აქვს. ამ აქტსაც არ აქვს ყველაფერი ამოწურვად მდგომარეობაში. სრულებიდ ვერ მოჰყავს ყველას გული მასთან. მაგრამ ცხადია არ არსებობს ისეთი აქტის შემქმნა, რომელიც ყველას გულს დაიპყრბს. ასეთი შეფასების შემდეგ კარგია თუ დავიცავთ პროპორციულობას. თუ საფრთხე უფრო მეტია ვიდრე ზიანი ასეთ დროს შეიძლება ასეთი აქტების ყურადღება. ამ აქტების გათვალისწინებით ამერიკაში იკლო დანაშულებრივმა სამყარომ. მართალია დანაშაულებები ისევ ხდება. მაგრამ მოგეხსენებათ ამერიკა დიდი სახელმწიფოა და დანაშულის მთლიანად ამოძირკვა ალბათ არასდროს არ მოხდება, მაგრამ მეტად ყურად საღებია ის ფაქტი, რომ ამ აქტების შემდგომ ის საგანგაშო ციფრებმა უკან დაიხია და ეხლა დანაშაულებრივი სამყარო ისე მედგრად ვეღარ დგას,როგორც ადრე. ეს ცხადია იმ კანონმდებლების დამსახურებაა, რომლებმაც შექმნეს თავად ეს აქტები. ამერიკის შემდგომ ცხადია უნდა დავასახელოთ ის სახელმწიფოც, რომელშიც დანაშულებრივი სამყარო

[73] იხ. USAThe Continuing Criminal Enterprise Statute

ყოველთვის აქტიურობდა. აქ მაფიას შეიძლება რამდენიმე საუკუნოვან ისტორიას მივაწეროთ. ისინი მუდმივად არსებობდა და იტალია ამისთვის შესანიშნავი იყო, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირე იტალიას არასოდეს ჰქონია, სხვა სახელმწიფოებთან განსხვავებით. იტალიაში სახელმწიფო ჩუმად ყოველთვის ებრძოდა მაფიას, ყველას კარგად მოგეხსენებათ იტალიური მაფია ერთ-ერთი ყველაზე სახელ განთქმულები არიან მთელ მსოფლიოში.

სახელმწიფომ დანაშულთან ბრძოლა ძირითადად 19 საუკუნეში დაიწყო, როდესაც მაფიის კლანებს უკვე ბევრი მოუვიდათ და,რამდენიმე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ჩახვრიტეს.ნორმატიული აქტების სიმრავლით გამოირჩევა. გამოსცეს 114 აქტი,რომლებიც მაქსიმალურად მიმართული იყო ორგანიზებულ დანაშულობასთან. პირველი აქტი კი იყო 1982 წლის[74] რომელსაც რონიონი ტორეს სახელით იცნობენ.მთავარი აქტი ის იყო,რომელიც მაფიის წინააღმდეგ გამოიცა 1965 წელს[75]. ეს იყო ის აქტი რითაც დაიწყეს ბრძოლა მაფიის წინააღმდეგ. დანარჩენი ძირითადად ეხებოდა კონფისკაციას. ტრიბუნალს მიენიჭა უპირატესობა, რომ მათ შეუძლიათ მიიღნ ქონების დაყატაღების უფლება. არის შემთხვევები, როდესაც კანონის ნორმით არის გათვალისწინებული,რომ კონფისკაცია და ქონების გადაცემა მოხდეს სახელმწიფოსთვის იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული არ დაამტკიცებს იმსა, რომ ეს ქონება ნამდვილად მას ეკუთნის. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც პოლიციის უფროსის მიერ გაცემული მოთხოვნის საფუძველზე. ვხვდებით ალბათ, ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით აქ წარმოიშობა მტკიცების ტვირთის ვალდებულება ამას აქვს შერეულიის სახე [76]. ჩამორთმეული ქონების შემდგომ პირს ეკრძალება მოსამართლის გარეშე, გარიგების დადება და ამ სახლის დატვირთვა იპოტეკით.

1996წელს შტანილ იქნა კანონმდებლობაში მთლი რიგი ცვლილება იმის შესახებ, რომ ჩამორთმეული ქონება რომლის კონსიფიკაციაც მოხდა ეს აღბული თანხა მოხმარდეს სიღარიბის აღმოფხვრას. ან კიდევ შეიძლება მეწარმეობის განვითარება, ან ისეთი სოფლის მეორნეობაში ჩადება, რომელსაც ეს ყველაზე

[74] იხ. Smith R. N. 1982. Thomas E. Dewey and His Time., New York: Simon and Shuster
[75] იხ. Abadinsky H. 2003. Organized Crime 7th edition.Thomson Wadsworth;
[76] იხ. ა.მორგოშია იტალიის ანტიკორუფციული კანონმდებლობა

მეტად სჭირდება. ასევე ნარკომანიასთან ბრძოლას შეიძლება მოხმარდეს ანდაც ისეთი შენობის აშენებას სადაც ასეთი პირები განთავსდებიან. იტალიაში დამმაძიმებელ გარემოებად დანაშული ითვლებოდა ცეცხლსასროლი იარაღი თუ ექნებოდა ბრალდებულს. ან ის ამ იარაღით დაემუქრებოდა უკანონოდ მიითვისებდა რაიმე ეკონომიკურ შემოსავალს.

კარგად ცნობილი რონიონი ტორეს 3 თავში წარმოდგენილი იყო დებულებები კონკრეტულად რა შემთხვევაში ჩამოერთმეოდა ქონება პირს. თუ არ იყო ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ფინანსური გვარდია მაინც ახორვიელებდა პირის ფინანსური მდგომარეობის გამოძიებას.ფულის აღბის დანაშულიც იტალიაში მნიშვნელოვნად გამოიყურება. ეს დანაშაული პირველად 1978 წლიდან ამუშავდა [77] . ეს აქტი იყო შემდეგი, თუ ბრალდებული პირი პოლიციის გზის ასაბნევად, რამდენიმე ოპერაციას ჩაიდენდა რათა გამოძიება ჩიხში შეეყვანა ეს პირი დაისჯებოდა 4-დან 12 წლამდე და ძალიან დიდი ჯარიმით.

ორგანიზებული დანაშულის ბრძოლის დროს ვიცით რომ ადამიანს უდიდესი როლი აკისრია. ვიცით კრიმინალური სამყარო,რომ უპირველესად საზოგადოების მტერია და პირველ რიგში ჩვეულებრივი მოსახლეობა უნდა აღუდგეს მათ. ვიცით პოლიცია ყველაფერს აკეთებს მაგრამ ხალხის დახმარების გარეშე ისინი უძლურები არიან. იტალიური მაფიის ორი ლიდერი ძველად მთელ იტალიას შიში აცხოვრებდა. გასულ საუკუნეში მაფია ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა. კლანებს გავლენა იმდენად დიდი ჰქონდათ, რომ პოლიცია უბრალოდ უძლური იყო მათ წინააღმდეგ. ქალებსა და ბავშვებს გარეთ გამოსვლის შიში ქონდათ. ამის შემდგომ როდესაც მოხდა იტალიაში ამ მაფიების დაჭერა, რომლებიც მუდმივ შიში აცხოვრებდნენ მოსახლეობას მათვის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიიღო.

ცხადია დანაშულთან ბრძოლის შეფასებისას საზოგადოების როლის შემდეგ უნდა დავიწყოთ სახელმწიფო ინსტიტუტების როლზე საუბარი. იტალიური სამართალდამცავებისთვის კარგად ნამდვილად არ მეტყველებს ის ფაქტი,რომ გარკვეული წლების პერიოდში ისინი ვერაფერს მოქმედებდენ მაფიის წინააღმდეგ.

[77] იხ. Goldstock R. and Coenen D. 1978. Extortionate and Usurious Credit Transactions:

იტალიური სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ უზრუნველოფს უსაფრთხოებას. ისინი აქტს უშვებდნენ მძიმე დანაშულის ჩადენის მომენტის შემდგომ[78]. ვერაფერ ძალას ვერ აჩვენებს ისინი მაფიას. ასე რომ იტალია ამერიკისგან განსხვავებით ვერ აჩვენებს იმ ძალას რაც საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის მაფიასთან ბრძოლისთვის და მკაცრი ნორმატიული აქტების გამოშვებაშიც თუნდაც. გამოსავალი ალბათ ის არის,რომ იტალიელმა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს მეგობარი ქვეყნების კანონმდებლობები, დაეყრდნოს საერთაშორისო კონვენციებს, დაამატონ სამართალდამცავები და მასობრივი რეიდები ჩატარდეს მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. მიუხედავად ამისა იტალია ტურისტებისთვის ერთ-ერთი საყვარელი და დასათვალიერებლად საუკეთესო ქვეყანაა. ამიტომ კანონმდებელი და ხელისუფლება ვალდებული არიან დაიცვან არა მარტო საკუთარი მოსახლეობა არამედ ის ტურისტები და დამსვენებლები მილიონობით, რომლებიც სტუმრობენ მართლაც ამ ულამაზეს ქვეყანას.

რა თქმა უნდა გაერთიანებული ერების აქტის გარეშე არ არსებობს ალბათ არცერთი დანაშული. ორგანიზებულ დანაშულის წინააღმდეგ მართლაც დიდი ხანია იბრძვის გაერო. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ[79] “ აქტი რომელიც გაერომ მიიღო. ამ აქტში დეტალურად არის აღწერილი თუ რა ტერმინებია დანაშაულთან და ასევე არის რეკომენდაციები თუ როგორ უნდა მოხდეს დანაშაულთან ბრძოლა.

გაეროს გაწერილი აქვს სისხლის სამართლებრივი დევნას თუ რა უნდა დაექვემდებაროს[80].

1. დამნაშვეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა
2. დანაშულებრივი გზით მიღბული შემოსავლების გათეთრება
3. კორუფცია
4. მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლა

[78] იხ. Santino U. Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime.
[79] იხ. გაეროს კონვენცია 2000წის 15 ნოემბერი
[80] იხ. ორგანიზებული დანაშულობის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი დახასიათება საქართველოში ავტ. დავით მესხიშვილი გვ.205

ორგანიზებულ დანაშულის წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით, მძიმე დანაშულს წარმოადგენს დანაშული, რომლის სასჯელის ვადა არის მინიმუმ 4 წელი. ასევე გაეროს გაწერილი აქვს კონვენციაში ტრანსნაციონალურია თუ ის აკმაყოფილებს შემდეგს[81]

1. ჩადენილია ერთ მეტ სახელმწიფოში
2. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში მაგრამ მისი მომზადების,დაგეგმის ხემძღვანელობის ან არსებითი ნაწილი განხორციელდა სხვა სახელმწიფოში
3. ჩადენილია ერთ სახელმწიფოშ,მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით,რომელიც დანაშულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში

4. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში მაგრამ ვლინდება სხვა სალემწიფოში.

კონვენციაყველა სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს ისეთი ზომა რომელიც შეესაბამება დანაშულის განზრახ ჩადენას.

1. ერთი ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღბის მიძნით თუ ამას ითვალისწინებს შიდან კანონმდებლობა, ასევე მოიცავს რომელიმე მონაწილის მიერ შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად გარკვეული ქმედების შესრულებას ან ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფის საქმიანობაში ჩაბმას.

2. პირის აქტიური მონაწილეობა, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები.

ა. ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფის საქმიანობაში

ბ. ორგანიზებულ დანაშულებრივ ჯგუფში სხვაგვარი საქმიანობა იმის წინასწარი შეცნობით,რომ ამგვარი მონაწილეობა ხელს უწყობს გაერთიანების კრიმინალური მიზნის მიღწევას.

[81] იხ. United Nations Convention Against Transnational Organized Crime

3. ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ორგანიზება, ხელძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება დახმარება ან რჩევის მიცემა [82].

კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღოს არა მხოლოდ საკუთარ კანონმდებლობაში ეს ზომები, არამედ მიიღონ ისეთი ქმედებები, რომლებიც აღკვეთილი იქნება დანაშულებრივი გზით. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ მითითებული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლას ასევე ორგანიზებული დანაშულობის წინააღმდეგ და ურთიეთანამშრომლობა ქონდეთ საერთაშორისო დონეზეც. ანუ სახელმწიფომ უნდა მოაწესრიკოს ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უნდა იმოქმედოს ისე, რომ აღკვეთოდ დანაშული და საერთაშორისო მეზობლებთან დაამყაროს ხშირი კომუნიკაცია.

კონვენციის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია დანაშულის გზით მიღებული ქონების პირის მიერ ლეგალიზება ავტომატურად ჩათვალოს მან ესეც დანაშულად. ასევე მეტად საყურადღებოა კონვენციის 8-ე მუხლი რომელის დროსაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დანაშულად ჩატვალოს შემდეგი.

1. საჯარო მოხელისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისგან.

2. პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ,პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული ფიზიკური პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ ამ მოხელემ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისგან [83].

ამ დებულებების თანახმად დანაშულად უნდა იქნეს აღიარებული ასევე თანამონაწილეობაც. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვა კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნები და დასჯად ქმედებად გახადოს მისი

[82] იხ. United Nations Convention Against Transnational Organized Crime
[83] იხ. United Nations Convention Against Transnational Organized Crime

მოთხოვნები. კონვენცია ასევე აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოს სასჯელის ზომა შეცვალოს, გაზარდოს ან შეამციროს იმ პირთათვის, რომლებიც რეალურად ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და გამოძიებას მიცემენ ქმედით ნაბიჯების გადადგმის საშუალებას.

ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია ყველაზე მეტად ქმედითია. ის ყველაზე მნიშვნელვანი საერთაშორისო აქტია, რომელიც დიდ ბრძოლად უცხადებს ასეთ დანაშაულებრივ სისტემას. ამ საერთაშორისო აქტით სარგებლობისას, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას გააძლიეროს დანაშულებრივი ბრძოლა დანაშულთან და ეს მოახდინოს ამის ასახვა საკუთარ კანონმდებლობაში, რაც იმას ნიშნავს რომ ეს ხელს უწყობს დანაშულის შემცირებას. ვიცით რომ დანაშული არ მოქმედებს მხოლოდ ერთ ტერიტორიაზე, თუ წევრ სახელმწიფოებს კავშირი ექმნება ერთმანეთან, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო თანამშრომლობით მაშინ ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლა წარმატებით იქნება მომავალში და თუ არ იქნება ქვეყნებს შორის კავშირი, მაშინ ამ დანაშულის დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც ეს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის,ეს შედის მთელი მსოფლიოს ინტერესებში აქედან გამომდინარე ყველამ თავისი წილი საქმე უნდა გააკეთოს რათა მსოფლიო განთავისუფლდეს დამნაშავეთა ჯგუფებისაგან,რომლებიც დიდი სისატიკით გამოირჩევიან.

გაეროს კონვენციებით არ შემოიფარგლება დანაშულთან ბრძოლა. მასთან ძლიერად არის შერკინებული კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია ინტერპოლი, რომელიც ყველასათვის კარგად ცნობილია. ნელნელა ორგანიზებული დანაშაულობა უფრო მეტ თვისებას იღებს ტრანსნაციონალური ხასიათის. ეს იმით არის განპირობებული, რომ დამნაშვეთა ჯგუფი ცილდება ერთ კონკრეტულ ქვეყანას. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ კრიმინალური გაერთიანებებისთვის საკადრისი პასუხი უნდა იქნეს გაცემული სახელმწიფოსგან, რათა არ გასულ საუკუნეში იტალიურმა მაფიიამ იტალია. ინტერპოლი, როგორც ყველა მოხდეს მისი ჩამოშლა და მთლიანად არ მოიცვას ამან მთელი სახელმწიფო ისე, როგორც დანაშაულზე. ინტერპოლი აერთიანებს 188 ქვეყანას. ინტერპოლის

უმაღლესი ორგანო გახლავთ გენერალური ასამბლეა. გენერალური ასამბლეის ძირითადი ფუნქციები კი არის შემდეგი.

1. ორგანიზაციის მიზების მისაღწევად ღონისძიებებისა და პრინციპების განსაზღვრა
2. გენერალური სამდივნოს მიერ მომზადებული წიური პროგრამის შესწავლა და დამტკიცება
3. საჭიროებისამებრ სხვადასხვა ინფრასტრუქციებისა და წესების მიღება
4. ორგანიზაციის კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების არჩევა
5. რეზოლუციებისა და რეკომენდაციების შემუშავება
6. ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა
7. ორგანიზაციასთან ნებისმიერი ხასიათის შეთანხმების დამტკიცება[84]

ეს გადაწყვეტილებები წევრი სახელმწიფოსთვის შესასრულებლად სავალდებულო გახლავთ.დავუბრუნდეთ თავად ინტერპოლის საქმიანობას. ის არ ასრულებს არც დევნას არც რაიმე ოპერატიულ ფუნქციას, მას აქვს მხოლოდ შემდეგი ფუნქცია. მისი საქმე ეხება ადმინისტრაციული კავშირები დაამყაროს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელები ანუ სამართალდამცავი ორგანოები ერთმანეთს. ინტერპოლის ბაზის მეშვეობით სამართალდამცავებს უფლება აქვთ თვალი ადევნონ მსოფლიო მასშტაბით გათვალისწინებული კრიმინალურ მთლიან სურათს.ასევე იქ თავმოყრილია ძებნილი პირთა სურათები ანაბეჭდები დნმ და სხვა ფასეულობები. ინტერპოლსაც აქვს ერთი სისუსტზე თუ შეიძლება ეს სისუსტეთ მოინათლოს. მას არა აქვს უფლება და ეკრძალება კიდევაც, რომ რელიგიური პოლიტიკური ხასიათის დანაშაულთან რაიმე ქმედება განახორციელოს. შეიძლება ეს სისუტეთ კი არა უფრო ძლიერს ქმნის ან იმ სიძლიერის არ დაკარგვის გამო ხდება,რომელიც ინტერპოლს აქვს. ინტერპოლი ებრძვის უამრავ დანაშულებებს მათ შორის ორგანიზებულს და ტერორიზმსაც და ა.შ. ინტერპოლი საერთაშორისო ძებნას ახორციელებს წითელი ცირკულარით. იმტერპოლის მიღწევა შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მათ კანონიერი ქურდების

[84] იხ, Interpol General Secretariat. Constitution and General Regulations

ინსტიტუტი რომელიც ძალიან მრისხანედ გამოიყურებოდა და კარგად ძირგადგმული ჩანდა, ინტერპოლმა ძალიან დაასუსტა. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ინტერპოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ინტერპოლის დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოები ერთმანეთს უკავშირდებიან და ინფორმაციას აწვდიან ამა თუ იმ დანაშულზე. ინტერპოლი ეყრდნობა საერთაშორისო წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციასაც და ასვე თავად ეროვნულ დონეზე ანუშვებს ინფორმაციას ქმნის და შემდგომში უგზავნის ამას იმ სახელმწიფოს,რომელმაც მოთხოვნით მიმართა მას. ტრანსნაციონალურ დანაშულთან ბრძოლა რა თქმა უნდა მძიმე სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავებთან ხშირი კონტაქტი აქტიურად გამოყენებადია.

ორგანიზებულ დანაშულობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება მხოლოდ ინტერპოლით არ შემოიფარგლება აუცილებლად უნდა შევეხოთ ევროპოლსაც. ეს არის ავროპული პოლიციის სამსახური[85]. ეს არის ევროპის კავშირი სამართალდამცავი ორგანო. ამ ორგანიზაციის მიზანი არის ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ანუ სამართალდამცავი ორგანოებისთვის დახმარების გაწევა. მაში გაწერილია თუ რა ითვლება საერთაშორისო დანაშულად,

1. ტერორისტული ქმედებები
2. ნარკოტიკებით ვაჭრობა
3. ფულის გათეთრება
4. ბირთვული და რადიოაქტიული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა
5. არალეგალური ემიგრანტების კონტრაბანდული გზით შემოყვანა
6. ადამიანებით ვაჭრობა
7. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება[86]

ევროპული საერთაშორისო გამოცდილება ნათლად ასახავს, რომ ეს არის უშუალოდ ორგანიზებულ დანაშულობაზე ფოკუსირებული ორგანო, რომელიც

[85] იხ. Europol: European Police Office. Council Act of 26 July 1995 drawing up the Convention on the establishment of a European Police Office (Europol Convention)
[86] იხ. Europol: European Police Office. Council Act of 26 July 1995 drawing up the Convention on the establishment of a European Police Office

ღიად ებრძვის ამ დანაშულობას. ევროპული საქმიანობა ჩამოთვლილია ამავე ხელშეკრულებაში ესენია:

1. წევრი სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა
2. ინფორმაციისა და კრიმინალური მონაცემების შეგროვება,დამუშავება და ანალიზი
3. წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისათვსი სასარგებლო ან რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის დაუყონებლივ მიწოდება
4. წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოების მიერ წარმართული გამოძიების დახმარება საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით
5. მონაცემების ბაზებისა და ინფორმაციის კომპიუტერული სისტემების შექმნა
6. ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა
7. რამდენიმე წევრი სახელმწიფოთათვის გამოძიების კოორდინირების შესახებ თხოვნით მიმართვა

ევროპოლი და ინტერპოლი ხშირათ ერევათ ერთმანეთში, რადგან მათი საქმიანობა ძალიან წააგავს ერთმანეთს. ევროპოლის სისტემაში ინფორმაციის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ ერთეულებს ინტერპოლისგან განსხვავებით. ევროპოლის უპირველეს ფორმაა ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა. მათ ოფიცრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საგამოძიებო მოქმედებებში. ევროპოლს უფლება აქვს წევრ ქვეყანას მოთხოვოს გამოძიების ჩატარება. ევროპოლი უფრო ფოკუსირებულია ორგანიზებულ დანაშულობაზე, მართალია ინტერპოლს უფრო დიდი მოძრაობის არეალი აქვს მაგრამ ხშირ შემთხვევაში ევროპოლის მიერ მიცემული მონაცემები დიდ სამუშაოს ასრულებს სახელმწიფოთათვის. ევროპოლი ინტერპოლისგან განსხვავებით ახალი შექმნილი ორგანიზაციაა და ჯერ ცხადია ვერ დადებს ისეთ შედეგებს რაც ინტერპოლს გააჩნია.

4.2. ორგანიზებული დანაშაულობის პრევენცია და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართებით

„ორგანიზებული დანაშულობის პრობლემა მთელი სიმძაფრით დადგა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწურულს,კერძოდ, 88-89 წელბში, საბჭოთა კრიმინალისტები და კრიმინოლოგები, აგრეთვე მაშინდელი სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლები,უკვე ვეღარ მალავენ, რომ ორგანიზებულმა დანაშაულმა მთელი საბჭოური სისტემა მოიცვა. ეს ის ეპოქაა, როცა საბჭოთა საზოგადოება და სახელმწიფო ღრმა და ყოველმხრივ კრიზისშია ჩაფლული და გამოსავალი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევაა“[87].

ორგანიზებულ დანაშულობასთან ბრძოლას არა მხოლოდ მსოფლიოს ცალკეულმა ქვეყნება გამოუცხადეს ბრძოლა არამედ ამ მხრივ საქართველოც არ ჩამორჩა მათ. ყველას კარგად ესმის ამ დანაშულის მოცულობის არეალის გაზრდა ყველასთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით ძალიან მკაცრად გამოიყურება. გამკაცრდა სასჯელი და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს რათა თავიდან აცილებული იყოს ეს დანაშული. ვიცით რომ ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს. ეს არ არის ერთი კონკრეტული ქვეყნის პრობლემა ტრანსნაციონალობიდან გამომდინარე ამიტომ საქართველოს ისევე როგორც სხვა ქვეყანას ერთმანეთან კავშირი აქვთ რათა თავიდან აცილებული იყოს ეს დანაშული. ამ დანაშულმა ფეხი 21 საუკუნეში უკვე მძაფრად გაიდგა. მან მასშტაბები გააფართოვა. ცხადია ნებისმიერი დანაშულის ზრდა,როგორც სახელმწიფოს უქმნის დიდ საფრთხეს ასევე უქმნის ამ სახელმწიფოში მყოფ საზოგადოების იმ ფენასაც, რომელიც იქ არის.

პირველი ბრძოლა სახელმწიფოსი ამ დანაშაულის წინააღმდეგ მოხდა,როდესაც სახელმწიფო „ქურდულ სამყაროს“ დაუპირისპირდა. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231 მუხლით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) 2009 წელს გამოძიება დაიწყო 33 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 15 პირი. 2010 წელს გამოძიება

[87] იხ. Организованная преступность, М., 1989

დაიწყო 20 დანაშაულზე, ბრალდებულად 47 პირი; 2011 წელს გამოძიება დაიწყო 6 დანაშაულზე, ბრალი დაუმტკიცდა 16 პირს; 2012 წელს გამოძიება დაიწყო 13 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა 11 პირი; 2013 წელს გამოძიება დაიწყო 28 დანაშაულზე, ბრალდებულად გამოცხადა 70 პირი“[88].

ამ დანაშულის ერთ-ერთი გავრცელებული სახე კი რა თქმა უნდა წამრმოადგენს ეს ქურდული სამყარო. პირველი მძაფრი შეტაკება ამ სამყაროსთან კი გვახსოვს 15 წის წინ მოხდა, როდესაც ქურდული სამყაროს, როგორც მიმდევარი ასევე ბევრი ხელშემწყობი გახლდათ.ვიცით რომ საქართველოში ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა დასჯადი სულ რაღაც 2005 წელს[89] გახდა. ცხადია დანაშულთან ბრძოლა საქართველო გვიან შეურთდა ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მანამდე საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი იყო.დღსდღობით ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში გვაქვს მნიშვნელობანი წარმატებები.ხელისუფალმა მნიშვნელობანი რიგი კანონებისა შემოგვთავაზა, რადგან თავიდან არიდებულიყო ეს დანაშულებრივი სისტემა. პირველ ძლიერ ნაბიჯად ითვლებოდა კანონი რომელიც მიღებული იქნა 2005 წელს ორგანიზებული დანაშულისა და რეკეტის შესახებ. ჩვენიკოდექსი ითვალისწინებს მუხლს,დანაშულებრივი გზით მოპოვებული ქონება ჩამომრთმეული უნდა იქნეს კანონის ძალით. ეს ჩამორთმეული ქონება დაბრუნებულ უნდა იქნეს მის კანონიერ მფლობელთან [90]. მხოლოდ ამ კანონით არ შემოიფარგლება სახელმწიფო ამ დანაშულთან ბრძოლაში. ასევე მნიშვნელობან წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება კანონი ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ. ეს კანონი საშუალებას იძლება ჩატარებულ იქნას ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც საჭიროა დამნაშვის იდენტიფიკაციისთვის. ამ კანონმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა და მისი დახმარებით დაპატიმრებული იქნა მნიშვნელოვანი ქურდული სამყაროს წარმომადგენლები[91]. ასაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრმა მოასწრო ტერიტორიის დატოვება და თავი სხვა ქვეყანას შეაფარა.

---

[88] იხ. მთავარი პროკურატურის ანატიკური სამართველო გვ.6
[89] იხ. კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“
[90] იხ. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის 5_ე მუხლი
[91] იხ. სტატია 10 ყველაზე გავლენიანი ქართველი კანონიერი ქურდი

„საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მიმზიდველი ფაქტორია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისთვის. ამას ემატება ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და მძიმე სოციალური ფონი“ [92] . საზოგადოება არ არის საქმის კურში იმის შესახებ, თუ რა პრობლემები შეიძლება შეექმნათ მათ. დანაშულებრივი გზების ხელშეწყობამ შეიძლება უკან გადაგვჩეხოს,ყველამ მაქსიმალურად უნდა შეიმეცნოს იმის შესახებ, რომ დამნაშვეთა ხელის დაფარება, არა მხოლოდ მას არამედ ეს მთლიანი საზოგადოებას რისკის ქვეშ ამყოფებს.უნდა ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება. უნდა გაიმართოს ხშირი შეხვედრები საზოგადოებასთან. რაც შეეხება ქურდული სამყაროს დაპირისპირებას, როესაც დიდი ფენა აღკვეთა სახელმწიფო და ეს კანონთან შეუთანხმებელი პირები აღმოჩნდენ ციხეში, ისინი თავისი გავლენების გამოყენებით მაინც ცდილობენ დაამყარონ კონტაქტი გარე სამყაროსთან. თავისი გავლენებით სურს გაზარდონ დანაშულის რაოდება, რათა მათი დაბრუნების შემდგომ სურათი ისევ იგივე დახვდეთ რაც მანამდე იყო.

ყოველთვის არსებობდა სირთულეები ნებისმიერი დანაშულის წარმოქმნასთან ერთად. ეს სირთულეები შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც, სახელმწიფოს მწირი ცოდნა, ასევე სამართალდამცავების არასაკმარისი გამოცდილება, ასევე ახალი დანაშულის ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლა. რაც შეეხება ამ დანაშულს ეს არის დანაშულთა დაჯგუფება, რომელსაც არა მარტო ერთ სახელმწიფოშ არამედ ერთი სახელმწიფოს გარეთაც აქვს კავშირები. უპირველეს სირთულედ შიძლება დასახელებულ იქნას კანონმდებლობაში არასაკმარისი ნორმები მათთან საბრძოლველად. ვიცით რომ კორუფციის და არაკანონიერი მოქმედებების გაცოცხლება უდიდეს საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მის საზოგადოებას მშვიდ ცხოვრებაში. „როგორც მოსახლეობის გამოკითხვა ცხადყოფს, სახელმწიფო ორგანოებში ისევ ფუნქციონირებს ფულის კეთების მეთოდების მთელი წყენა, გამომძალველობა, საქმის გაჭიანურება, მოსახლეობისთვის უკანონო გადასახადების შეწერა, დანაშულებრიივი

[92] იხ. ორგანიზებულ დანაშულთა ბრძოლის წინააღმდეგ ეროვნული სტრატეგია გვ.5

ურთიერთპასუხისმგებლობა, ზემდგომთათვის წილის მიცემა და მოწილეების სისტემა პოლიციის, პროკურატურის, სასამართლო ორგანოებში და სხვა“ [93]. სახელმწიფო ამ ყველაფერს უნდა გაუმკლავდეს და ეს რიცხი ფაქტიურად ნულამდე დაიყვანოს, ცხადია ყველაფერი მალევე არ განხორციელდება, მაგრამ ამისთვის საზოგადოებამ ნაბიჯები უნდა დაინახოს, უნდა დაანახოს სახელმწიფომ რომ ის ხალხის გვერდით დგას.

ყველაზე დიდ პრობლემას კი არასრულწლოვნების ორგანიზებულ ჯგუფებში ჩაბმა გახლავთ. ხშირია შემთხვევები, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენენ, რაიმე გავლენის მქონე პირები და უბიძგებენ მათ დანაშულებრივ სამყაროში შესვლას. არასრულწლოვნის ფსიქიკა ვიცით, რომ ჯერ ის მზად არ არის გაუმკლავდეს ყველა იმ პრობლემას რაც მის წინაშე დგას და ბევრი უშვებს ამ შეცდომას და ხდება დანაშულებრივი ჯგუფების წევრი. სახელმწიფო ამის აღსაკვეთათ ხშირად ატარებ საორგანიზაციო შეხვედრებს. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შეხვედრებს. ასევე ამის თავიდან ასაცილებლად იქნა სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღება, რაც ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად მოიაზრებენ საზოგადოების ერთი ნაილი, ხოლო მეორე კი არასაკმარისად აღიქვამს მას. „არასრულწლოვანთა დანაშულობა ძირითადად ხასიათდება დანაშულის ჩადენა ჯგუფურობით, რაც ძალიან გასაგებია არასრულწლოვნების ასაკიდან გამდინარე“ [94]. ამის თავიდან აღსაკვეთად ყველაფერს აკეთებს სახელმწიფო, რადგან ყველას მოეხსენება სახელმწიფოს შემადგენლობის და ჯანსაღი მომავალი თავად არასრულწლოვნებია.

ორგანიზებულ დანაშაულობას და ამ დანაშულში მოქმედ პირებს უდიდესი ზიანი მოაქვთ სახელმწიფოსთვის. ეს ხდება „საზოგადოების იძულებით, გამოძალვით ,ფიზიკური ანგარიშწორებით, ადამიანთა ვაჭრობის, ოფიციალური პირის მოქრთამვით, ახალგაზრდების საქმეში ჩაბმით და სხვა უკანონო ქმედებებით. ორგანიზებული დანაშულობის ჯგუფები ზრდიან ძალადობას და მნიშვნელოვნად აუარესებენ კრიმინოგენურ მდგომარეობას ჩვენს

[93] იხ. კრიმინოლოგია ირაკლი გოძიაშვილი გვ.184
[94] იხ. იქვე გვ.187

საზოგადოებაში“ [95]. ამაში როგორც წესი მოქმედებდა ქურდული სამყარო და რომელიც დღესდღეობით დასჯადი გახდა[96].

სახელმწიფო პოლიტიკის მიმართება ამ დანაშულის მიმართ გამოიხატება იმაში, რომ საქართველო თანამშრომლობს ინტერპოლს 1993 წლიდან. ამაში ძალზედ დაგვეხმარე აზერბაიჯანი, რომელმაც მოითხოვა ჩვენი გაწევრიანება. საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ითანამშრომლებდა ინტერპოლთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველომ მოახდინა ინტერპოლის დახმარებით ბევრი დამნაშვეთა დაპატიმრება. ასევე საქართველოსაც გადაუცია ინტერპოლისთვის ბევრი ბრალდებული პირი. საქართველომ დიდი რეფორმების გატარების შემდგომ და ინტერპოლის დამსახურებით დაიწყო იმ პირების დევნაც, რომელსაც საზღვრები უკვე დატოვებული ჰქონდა, მაგრამ საერთაშორისო თანამშრომლობით ინტერპოლი სრულ თანხმობას უცხადებდა მას. საქართველო ასევე თანამშრომლობს ინტერპოლს. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობის განვითარება. აღნიშნული თანამშრომლობა ეფუძნება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ 2017 წლის 4 აპრილს ქ. თბილისში ხელმოწერილ შეთანხმებას, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო გახდება ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა. ევროპოლთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს ევროპოლთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული პროცედურებისა და ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას“ [97]. შსს ევროპოლის დახმარებით 4 კანონიერი ქურდი და კრიმინალური დაჯგუფებების 34 წევრი დააკავა[98]. ამ მხრივ საქართველოს წინ გადადგმული ნაბიჯები ნათლად ჩანს.

---

[95] იხ. მთავარი პროკურატურის ანნალიტიკური სამართველო ორგანიზებული დანაშული გვ.2
[96] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223’ მუხლი
[97] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ევროპოლის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ
[98] იხ. პოლიციის ანგარიში 18-04-2018

საქართველო ყოველთვის ითვალისწინებდა კონვენციესა და იმ რეკომენდაციებს, რომელსაც გასცემდნენ მის შესახებ. ასევე მაქსიმალურად ცდილობდნენ ეს რეკომენდაციები გაეთვალისწინებინა და შიდა თანხვედრაში მოექციათ საკუთარ კანონმდებლობასთან. გაერომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა და დანაშაულის შესახებ პრევენცია დაყო რამდენიმე სახედ[99]. ამის გათვალისწინება და თანხვედრა ყველა სახელმწიფოს მოუწევდა, საკუთარ აკნონმდებლობაში მოეყვანა თანხვედრა. დანაშულის თავიდან აცილების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, რა თქმა უნდა პოლიტიკური ნება. პოლიტიკური ნება უნდა იყოს მტკიცე და იმ შემთხვევაში მოხდება ამ დავალების შესრულება. იყო შემთხვევები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომ ქურდული სამყარო მართლაც ბატონდა ქვეყანას, არ არსებობდა არაფერი ღირებული და ქართველ მოსახლეობას შიში ზარს ცემდნენ. ამის შემდგომ გამოიხატა პოლიტიკური მკაცრი ნება და რაც მოხდა ყველამ ვნახეთ, მართალია ამის მომხრე ყველა არ არის მაგრამ იმდროისათვის ავტორი მიიჩნევს რომ ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო. ანუ პოლიტიკური ნება უნდა იყოს საჭირო. ორგანიზებული დანაშული არ არის ისეთი დანაშული, რომელიც არ შეიძლება მოგვარდეს. მეორე საკითხია ის რომ ამას შეიძლება დიდი ძლისხმევა დაჭირდეს მაგრამ ეს ყველაფერი შესაძლებელია. ორგანიზებული დანაშულობა მკაფიოდ არის დაახლოებული კორუფციასთან. უპირველეს ყოვლისა უნდა მოხერხდეს ამ კორუფციის აღმოფხვრა, შემდგომ კი ყველაფერი დაიწყებს დალაგებას. ცხადია თუ სახელმწიფოში კორუფცია მოქმედებს რთულია სხვა დანაშულს ებრძოლო.

დანაშულთან ბრძოლა არავითარი ძალა არ აქვს,თუ არ მოხდება ქვეყნაში ძალოვანი სტრუქტურებში ძლიერი რეფორმების გატარება. ეს რა თქმა უნდა თანხვედრაში უნდა იყოს. საქართველომ მოახდინა ასეთი რეფორმების გატარება. ამ ყველაფრის დანახვა უნდა შეგვეძლოს. ცხადია ყველაფერი 1თვეში ან თუნდაც 1 წელში ვერ განხორციელდება. ეს ყველაფერი ეტაპობრივად მოხდება და დრო მოვა, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს რეფორმები ერთმნიშვნელოვნად საუკეთესო იქნება უპირველესად საკუთარი ქვეყნისათვის. ამ რეფორმების გატარების შესახებ

[99] იხ. United Nations Office on Drugs and Crime. Handbook on the crime prevention guidelines

კარგად არის წარმოდგენილი დავით მესხიშვილის ნაშრომში, რომლის პერიფრაზს მოვახდენთ. „რეფორმის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ლიკვიდაცია და მისი ფუნქციების გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს.სამოხელეო დანაშულებთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით მოხდა სტრუქტურული ცვლილებები და ფუნქციების გადაცემა კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტისთვის“ [100] . ასევე სახელმწიფოს წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება სასჯელაღსრულების მთლიანი რეფორმირება და პატიმართა მაქსიმალური ხელშეწყობა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ, რომ იქ არ იყო სიმკაცრე,ცხადია ციხეები იმართებოდა ეგრეწოდებული შავი ბანდებით და ამისგან თავის ასარიდებლად ცხადი იყო უნდა შეცვლილიყო რეფორმები, შეიცვალა კიდეც და არაობიექტურები ვიქნებით თუ არ ვაღიარებთ ამას. ეს მოხდა იმიტომ რომ ორგანიზებულ დანაშულობა თავიდან აცილებულიყო, რადგან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ციხიდანაც კი გაიცემომდა ბრძანებები რაიმე დანაშულის ჩადენის. თავად ამ დანაშაულის ბრძოლის შესახებ მიღებული 2005 წლის საქართველოს კანონი უმთავრეს ნაბიჯს წარმოადგენს [101]. ამ კანონიტ თითქმის ყველაფერი ანათქვამი რაც ნამდვილად სათხმელი იყო იმ დროისათვის.

დანაშაულთან ბრძოლაში მთავარია პირველ რიგში სტრუქტურები, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდებიან თუ არ იქნება საზოგადოების ინფორმიულობა და მათი დახმარება სამართალდამცველებისთვის. ერთ-ერთ ასეთი რეფორმა იყო ისიც რომ საგზაო პოლიცია ჩაანაცვლა პატრულმა,რათა დაბრუნებულიყო ის ნდობა ხალხისგან რაც მათ უკვე აღარ გააჩნდათ. საგზაო პოლიციისგან განსხვავებით პატრულის თანამშრომლები არ იყვნენ კორუმპირებულები და ამით ხალხს გული მოუბრუნდა სამართალდამცველი ორგანიებისაკენ. ავტორი პირველ რიგში მიიჩნევს იმ გარემოებას. რაც სახელმწიფომ შემოგვთავაზა ორგანიზებული დანაშულის პრევენციისთვის ეს იყო, რომ დამნაშავეს შანსი მიეცა რათა გამოსწორებულიყო. ახალგაზრდა რომელცი, მოხდებოდა დამნაშვეებთა დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ის იქედან უფრო მძიმე მდგომარეობაში

[100] იხ. ორგანიზებული დანაშულობის სისხლისამართლებრივი დახასიათება საქართველოში ავტ.დავით მესხიშვილი

[101] იხ. საქართველოს კანონნი ორგანიზებული დანაშულისა და რეკეტის შესახებ

გამობრუნებულიყო. ამის თავიდან ასაცილებლად რაც ყველაზე დიდი პლიუსია მსჯავრდებულისთვის, რომ ეგრე წოდებული კამერიდანაც კი შეეძლო მათ სწავლა მიეღოთ, ჩაებარებინათ ეროვნული გამოცდები, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ეს კი ძალზედ წინ გადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოსთვის. რასაკვირველია პრობლემის დასაწყის უნდა ებრძოლო, თორემ როდესაც დიდი პრობლემა წარმოიჭრება იმასთან ბრძოლა ძლიან გართულდება შემდგომ.

სახელმწიფოს ამდენი ნაბიჯის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ რომ ქვეყანაში დანაშაული დამარცხებული ჯერ კიდევ არ არის. მართალია დანაშულის რიცხვმა იკლო, მაგრამ დანაშული ჯერ კიდევ არსებობს. ეს რეფორმები შეიძლება ვინმესთვის არ იყოს მართებული, მაგრამ ამ რეფორმებმა დაგვანახა, რომ ძალიან შეცირდა კორუფციასთან ბრძოლა,ძალიან შემცირდა დანაშულის რაოდება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რიცხვი. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ, პენიტენციალურ დაწესებულების კვლევებმაც აჩვენა, რომ დამნაშავის ჩამდეი პირი აღარ ფიქრობს უმეტესობა იგივეს ჩადენას. ამიტომ ეს რეფორმები უნდა შენარჩუნდეს და ეტაპობრივად უნდა ვეცადოთ, ნელნელა გავამკაცროთ უფრო და უფრო დანაშაულის საჯელები, დაინერგოს ახალი რეფორმები და იმის დატესტვის შემდეგ მოხდეს რაიმე რეფორმის ჩანაცვლება ამის სიახლით. ამ შედეგის მიუხედავად არ უნდა გავჩერდეთ და უნდა ვიფიქროთ ამ შედეგის ძალიან დიდი წარმატებაზე. მოსახლეობას ცნობიერება უნდა დაეხმაროს ორგანოებს ამ დანაშულებრივ სამყაროს განადრგურებაში საერთოდ მის ამოძირკვაში. ყველაფერი შესაძლებელია ერთმანეთის გვერდით დადგომაში. იმ პირების მრავალ მხრივ გადამზადებებში, რომლებიც ებრძვიან ამ დანაშულს. ასევე სკოლის პედაგოგების გაცნობა დანაშულის, ასევე მანდატურთა მრავალ გზის გადამზადება. ბევრი შეხვედრები საზოგადოებასთა, არასრულწლოვნებთან სოციალურად დაუცველ პირებთან, ძნელად აღსაზრდელ ბავშვეთან, რომლებიც პირველ რიგში დიდ ყურადღებას საჭიროებს რადგან არ მოხდეს მისი დანაშულში ჩაყოლიება.

საქართველოს კანონმდებლოთ განსაზღვრულია კონვენციების გარდა შიდა კანონმდებლობაშიც ამ დანაშაულთან ბრძოლა[102]. ეს მუხლი ასე თუ ისე ახდენს ორგანიზებული დანაშულის განსაზღვრებას და განსაზღვრავს ნორმას მასთან ბრძოლის. საქართველოს სიხლსი სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება განსაზღვრული იყოს ამ დანაშულის ნიშნები[103].

1. ჯგუფი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში

2. ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული

3. ჯგუფს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა

4. ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა შეკავშირდნენ

5. მიზანი უნდა იყოს პირდაპირი,ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება

ამ ნიშნების ერთობით დგინდება დანაშული. სახელმჭიფო ღონისძიებები მართლაც რომ მრავალმხრივია. ობიექტურები რომ ვიყოთ ამას აქვს კიდევ წინ გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ ჯერ ყველაფერი კიდევ წინ არის. ამ ყველაფერს უნდა დრო რათა მოხდეს ამ პრობლემის მასშტაბურობის განადგურება. ეს მხოლოდ და მხოოდ განხორციელდება, მაშინ როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთან მაქსიმალურად ითანამშრომლებენ. გარდა ამისა სახელმწწიფოს პრეროგატივა არის ისიცმისიც რომ დრო და დრო ყველაფერი განაახლოს და მისცეს საზოგადოებას მშვიდ გარემოში ცხოვრების ყველა განსაზღვრული ასპექტი. ამით უპირველეს ყოვლისა ყველაფერი ხდება საზოგადოების დაახლოებით სამართალდამცავებთან. შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს დანაშაულთან ბრძოლასთან მათ სულ ახლახანს გამოუშვეს ფილმი „პოლიციის ფაილები“[104], რომელშიც ამ დანაშაულზე მის გამოძიებაზე მასალების მოპოვებაზე ყველაფერი ნათლად ჩანს. ეს კიდე მისგან წინ გადადგული ნაბიჯია.

[102] იხ. სისხლი სამართლის კოდექსის 27_ე მუხლი

[103] იხ. ორგანიზებული დანაშულობის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი დახასიათება საქართველოში ავტ.დავით მესხიშვილი გვ.253

[104] იხ. შინაგან საქმეთა ოფიციალურ საიტზე

დასკვნა

ორგანიზებული დანაშულობას დიდი ხნის ისტორია აქვს.მასთან ბრძოლა მართალია საქართველომ გვიან დაიწყო,მაგრამ მთელი მსოფლიო მას დიდი ხანია ებრძვის. მსოფლიო განვითარებასთან ერთად დანაშულებრივი რიცხით იმატებას. ცხადია მსოფლიოს მასშტაბები იცვლება, ადამიანებს უდიდეს ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებაში, ისეთს რომ ამის მოიფიქრება რამდენიმე წლის წინ შეიძლებელი მოგვეჩვენებოდა. ასეა მსოფლიოს განვითარება გაზარდა რიცხვი დანაშაულის. ორგანიზებული დანაშული უკვე ერთი სახელმწიფოს ბრძოლა როდია. ეს მთელი მსოფლიოს პრობლემაა. დანაშაულებრივ ჯგუფები ახდენენ ერთმანეთან იოლად კომუნიკაციას. ეს კომუნიკაცია მას საშუალებას აძლევს უფრო გაძლიერდნენ, სხვადასხვა სახელმწიფოებში მატი მიმდევრები იპოვონ და ახალ ახალი პირებით გაამდიდღონ თავისი დამნაშვეთა ჯგუფები. ორგანიზებული დანაშულის ძირითადი მიზანი წარმოადგენს არალეგალურ შემოსავლის მიღებას და ადრე მათ ჰქონდათ პოლიტიკური მიზნები.ხელისუფლების გავლენაც სურდათ ხელში ჩაეგდოთ.

ორგანიზებული დანაშულობა დღითიდღე ტრანს ნაციონალურ დანაშულის სახეს იღებს. ეს იმიტომ ხდება,რომ ისინი ერთ სახელმწიფოში არ ჩადიან დანაშაულს. ამ დანაშულებათა სიმრავლე არის უკანონო ცხადია და ეს შეიძლება იყოს იარაღით ვაჭრობა ნარკოტიკებით ვაჭრობა რომელზეც მოცემულ ნასღომში ამომწურავად არის მოცემული.ასევე ტრეფიკინგი და ა.შ. ამ დანაშულებრივ ჯგუფებს სურთ უკანონოდ მიიღონ დიდი შემოსავალი.ყველა ჯგუფს განსხვავებული მეთოდები აქვს დანაშაულის ჩადენის. ისინი წინასწარ კარგად შეისწავლიან სახელმწიფოს, თავდაპირველად სამართალ დამცველების ყურადღების ქვეშ არ ექცევიან, ამ დროს სწავლობენ მთლიანად სახელმწიფოს, ამის შემდგომ ისინი კარგად ორგანიზდებიან და შემდეგ ჩადიან დანაშულს. თუ სახელმწიფოს სათავეში არსებობს კორუმპირებული პირები მაშინ ამ ჯგუფებს ხელ ფეხი შეხსნილი აქვთ. არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა ისეთი რიცხვი, რომლებიც თანამდებობრივ პირების მოსყიდვას ახებენ და ამის შემდგომ არალეგალურ შემოსავალს ორივე მხარე ღებულობს.

ორგანიზებულ დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად რთულია. როგორც მოცემულ ნაშრომში არის განსაზღვული ამისთვის საჭიროა სამართალდამცავი პირების მაღალი კვალიფიციურობა, ადამიანთა ზნეობის ამაღლება და სახელმწიფოს მიერ ისეთი კანონპროექტების გატარება, რომელიც მოქნილი და ეფექტური იქნება. ეს დანაშული ჯერჯერობით საქართველოში მასობრივი ხასიათი არ აქვს, ამიტომ კარგია თუ სახელმწიფო მას ამ დანაშაულის ჩანასახშივე გაანადგურებს რათა არ მოხდეს ამის გავრცელება და ახალგაზრდა პირთა ჩართვა.

სახელმწიფო უნდა გაითავისოს, რომ საზოგადოების ინფორმიულობის გარეშე ვერაფერს იზამენ.ყველამ იცის მხოლოდ კარგად დაწერილი კანონი არაფერის მომცემია თუ ამ კანონით არ მოხერხდა იმ პრობლემის გადაწყვეტა რის გამოც შეიქმნა. მაქსიმალურად უნდა მოხდეს იმ რეკომენდაციების შეშრულება რასაც იძლევიან.

მოცემულ ნაშრომში კარგად არის გადმოცემული, თუ რას წარმოადგენს პირის პიროვნული ჩამოყალიბება. აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს იმ პირებზე, რომლებიც სამომავლოდ თავად ამ სახელმწიფოს მართველები შეიძლება გახდნენ. უნდა გამოსწორდეს ის ფონი რაც დღეს არის. არასრულწლოვნებთან მიღწეული შედეგით არ უნდა დაკმაყოფილდეს და მაქსიმალურად ეცადოს ყველაფერი იდეალურ დონემდე აიყვანოს. ყველაზე მეტად კი უნდა ებრძოლოს ქვეყანაში კრიმინალს. არ უნდა დაუშვას კრიმინალური სამყაროს დაბრუნება საქართველოში. არის შემთხევები როდესაც არასრულწლოვნებს გაარკვეული ფფენები უბიძგებენ დანაშაულში ჩართვას სწორედ ამის მიხედვითაც უნდა იმუშაონ და მკაცრად დაისაჯონ ის პირები.

ორგანიზებული დანაშაულობა არს ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მსოფლიო განვითარებასთან ერთად შეიძლება რამდენიმეჯერ სახე იცვალოს. გასათვალისწინებელია მოცემულ ნაშრომში გამოყენებულ იქნეს ის მექანიზმების დახვეწა, რომელიც შეუქმნის ადამიანს და საზოგადოებას იმის წარმოდგენას, რომ ეს არა მარტო სახელმწიფოსთვის არამედ თავად ამ საზოგადოებისთვვის საშიშია. საზოგადოებრივი უნდობლობა, რომ არ დაბრუნდეს სამართალდამცავი ორგანების მიმართ უნდა გატარდეს ხშირი და რაც ყველაზე მთავარია მასობრივი

გადამზადებები, რათა არ მოხდეს კონკრეტული პირების მიერ კორუფციის მაგალითები.

საზოგადოება და სამართალდამცავმა ორგანებმა ერთად უნდა ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშულობას და თუ საოგადოებას ისევ ის გრძონა გაუჩნდება, რომ სამართალ დამცველი ისევ კორუმპირებული ამით ყველაფერი დასრულდება, მხოლოდ სახელმწიფო ამ დანაშაულთან ვერაფერს გახდება ადამიანების გარეშე.

ორგანიზებულ დანაშულობასთან ბრძოლის ფარგლებში უნდა მოხდეს უფრო მეტად საერთაშორისო გასვლები. სამართალდამცავი ორგანოები უნდა გადიოდნენ მეზობელ ქვეყნებში გადამზადებებს,რათა აითვისონ ის რეკომენდაციები რასაც იძლევიან. თანამშრომლობის გარეშე არაფერია. რადგან ვიცით რომ ეს კონკრეტული დანაშული ერთი ქვეყნისთვის არ წარმოადგენს საფრთეს, ეს ყველასთვის საფრთხის მომცემი დანაშულია. დღეს შეიძლება რომელიმე ქვეყანა ფიქრობდეს რომ მათ არაფერი ემუქრებათ, მაგრამ შეიზლება ხვალ მათთან მოხდეს იგივე რა მის მეზობელ ქვეყანაში. ამიტომ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა.

არასრულლოვნების მეტად დამოკიდებულება სკოლაზე, მათ გონებაში უნდა გათავისებულ იქნას, რომ ქურდულ სამყაროსთან წევრობა ყუპავს მათ და არა ამრტო მათ, ამით იყუპება სახელმწიფოც. არასრულწლოვნებთან ხშირი კომუნიკაცია, ქუჩებში, სკოლებში ეზოში რათა თავიდან აცილებული იქნას მათი დანაშაულებრივ სამყაროში მოხვედრა. მოსახლეობას ხშირად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ,თუ რა შედეგები დააფიქსირა სამართალდამცავმა უწყებებმა დანაშულთან ბრძოლისას. ძალიან კარგი წამოწყებები აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც მოცემულია ნაშრომში მაგრამ გასაკეთბილი კიდევ ბევრი რამ დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ყველამ ყველაფერი უნდა გაიღოს ამ დანაშულებრივი სამყაროს წინააღმდეგ. ორგანიზებული დანაშაულობა სულ ცდილობს, რომ სხვადასხვა სახე მიიღოს რათა ამით თავგზა აუბნიოს, როგორც სამართალ დამცავებს ასევე საზოგადოების იმ ნაწლს, რომელსაც იოლად ჯერად ყველაფრის. ამიტომ ამის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გაკეთდეს

უნდა იცვლებოდეს საკანონმდებლო ბაზა ხშირად და რაც ყველაზე მთავარია მიზანშეწონილად. ამ ყველაფრის გათვალისჭინებით ავტორი ფიქრობს შესაძლებელია ამ დანაშულთან ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

<u>ქართულენოვანი ლიტერატურა</u>

წულაია.ზ კრიმინოლოგია,ზოგადი და კერძო ნაწილი

ღლონტი.გ კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართელოში

გოძიაშვილი.ი კრიმინოლოგია

ლაგვილავა.ი თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებულული დანაშაულობის კვლევის საკითხი

ცქვიტაია.ი დანაშაულობის პრევენციის ცნება და მისი გლობალური პრობლემის განხილვა საერთაშორისო აქტებში

მესხიშვილი.დ ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისამართლებრივი დახასიათება საქართველოში

მამრიქიშვილი.ნ აღზრდა,როგორც დანაშაულობის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი

ლობჯანიძე.გ კანონიერი ქურდები საქართველოში

ნაჭყებია.გ ორგანიზებული დანაშულის თანამედროვე გამოვლინების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში

ოსაძე.ნ ტრანსნაციონალური დანაშაულობის ეკონომიკურ ფორმებთან ბრძოლს პრობლემები

გოგოლაძე.ნ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა,ღონისძიებათა კონპლექსი

ლორთქიფანიძე.დ დიდაქტიკა 1983 წელი

ორგანიზებული დანაშულობის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2018 წლების ეროვნული სტრატეგია

აგრესია როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი მარიამ ქართველიშვილი

მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამართველო

სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში

დეკლარაცია ტრანსპლანტაციურ ტურიზმსა და ორგანოთა ვაჭრობის შესახებ

შინაგან საქმეთა სამინისროს და ევროპოლის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ

პოლიციის ანგარიში18-04-2018

ნათია მეზვრიშვილის ინტერიუ

სტატია როგორ ავიცილოთ არასრულწლოვანთა დანაშაულობები ჯიქია.ლ

სტატია აგვისტოს ომზე ნინო დოლიძე

სტატია ნარკოტიკებთან ბრძოლა მიშა ნეფარიშვილი

სტატია ორგანოთა ტრანსპლანტაცია და ცოცხალ დონორთა წრე ნინო კალანდაძე

სტატია 10 ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდი

სტატია ფულის გაყალბების დიდოსტატები

ეროვნული ბანკის ანგარიში 2017 წელი

ფინანსთა სამინისტროს ანგარიში2016 წელი

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მოხსენება

დანაშაულის პრევენციის სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმები და სახელმძღვანელო კრიმინალური სამართალი განხორციელება და პრიორიტეტები.2001 წელი

გაეროს ერთობლივი კონვენცია ნარკოტიკულ დანაშაულთა შესახებ

გაეროს კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ

გაეროსკონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წნააღმდეგ

გაეროს 2000წლის 15 ნოემბრის კონვენცია

გაეროს 1961 წლის კონვენცია

გაეროს 1971 წლის კონვენცია

გაეროს1988 წლის კონვენცია

უცხოენოვანი ლიტერატურა

Криминология кудрявцева 1997

Преступность XX века. Мировой криминологический анализ 1997

Иленков диателктичельская логика 1984

Э.ферри уголовнаи социология

Ной И. С., Методологические проблемы советской криминологии, — Саратов, 1975

капиталистические страны италия м 1989

Организованная преступность

А. Габиани, Наркотизм, Тб., 1977

Hong Kong Special Administrative Region: Independent Commission against Corruption

Wenner holm/Canadian Woman Studies/Les Cahiers de la Femme, 2003 Spring-Summer

Trafficking and HIV/AIDS, Jane Gronow and Deborah McWhinney/Challenging trafficking

international migration organization- kiev 1998

geneva 1994 26-28 oct. p.5-6 us migration

The National Board of Medicolegal Affairs

Transplantation of Human Organs Act

Стручков Н. А. Преступность как социальное явление. — Л., 1979

Кудрявцев В. Н., Ускорение социально - экономического развития и задачи ученых - юристов // Советское государство и право, 1986

Rhodes R. 1984. Organized Crime: Crime Control vs. Civil Liberties

Eddy P. Sabogal H. Walden S. 1988. The Cocain Wars. USA. The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act

The Racketeer Influenced and Corrupt Organizations Act

Lyman M. D., Poter G. W. 2000. Organized Crime, 2nd edition. New Jersey USAThe Continuing Criminal Enterprise Statute

Smith R. N. 1982. Thomas E. Dewey and His Time., New York: Simon and Shuster

Abadinsky H. 2003. Organized Crime 7th edition.Thomson Wadsworth

Goldstock R. and Coenen D. 1978. Extortionate and Usurious Credit Transactions

Santino U. Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime

United Nations Convention Against Transnational Organized Crime

Interpol General Secretariat. Constitution and General Regulations

Europol: European Police Office. Council Act of 26 July 1995 drawing up the Convention on the establishment of a European Police Office (Europol Convention)

Организованная преступность, М., 1989

United Nations Office on Drugs and Crime. Handbook on the crime prevention guidelines

Drogen handeln